საერთო გაზეთი

№37 (448) • 11 ოქტომბერი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

მაღალი, ახოვანი... უვარგისი!

არჩევნები კარს მოგვადგა და იმის ნაცვლად, რომ კარდაკარ დადიოდნენ და ამომრჩევლებს თავიანთი პროგრამის უპირატესობაში არწმუნებდნენ, ნაცები კვლავ იერიშებს და შეჭრა-შევარდნებს გეგმავენ. ნაცები არ შეცვლილან – როგორც შეჭრა-შევარდნით მოვიდნენ ხელისუფლებაში 2003 წელს, ისევ იმავე მეთოდებით აპირებენ ხელისუფლებაში დაბრუნებას.

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას აპოლოგია

დემოგრაფია ციფრებში, ანუ ვინ შემოჰკრავს განგაშის ზარებს?

ირაკლი გოგავა: ქართული პოლიტიკის დიდი ღამე და დილა, რომლის გათენებას ჯერ კიდევ ველოდებით

უცნაური სვლები მსოფლიოს საჭადრაკო დაფაზე

ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება კომერციული ბანკების დიქტატის ქვეშ აღმოვჩნდეთ

სამსონ სამჭკუაშვილის ბ ლ ო გ ი

- „რუსთავი-2“ ორჯერ
- სამნი ერთ საწოლში
- რა მსგავსებაა ნიკანორ მელიასა და გია ხუხაშვილს შორის?

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

თუშეთში ვერტმფრენი ზამთრის სეზონზეც იფრენს

თუშეთისკენ მიმოსვლა სექტემბრის მეორე ნახევრიდან, პირველი თოვლის მოსვლისთანავე ფერხდება, დიდთოვლობის გამო გზა გაზაფხულამდე იკეტება. ამ ურთულესი რელიეფის გზაზე გადაადგილებასთან დაკავშირებული პრობლემები წელიწადის სხვა დროსაც ჩნდება.

ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა თუშეთში მოგზაურობის მსურველი უცხოელი ტურისტების რიცხვი. სულ ცოტა ხნის წინ ომალოში მყოფ ტურისტებს შეექმნათ პრობლემები, რომელთა ოპერატიულად მოგვარებაზე რამდენიმე სახელმწიფო უწყება ზრუნავდა.

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის გადაწყვეტილებით, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების უზრუნველსაყოფად, გასული წლის სეზონის მსგავსად, წლევანდელი ზამთრის მანძილზე, ყოველკვირეულად, რეგულარულად იფრენს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი.

ქუთაისიდან 11 ევროპულ ქვეყანაში, 16 მიმართულებით რეისები შესრულდება

რომი, პარიზი, ბარსელონა, პრაღა – ავიაკომპანია **Wizz air** ქუთაისიდან კიდევ ოთხი ახალი მიმართულებით იფრენს, – ამის შესახებ კომპანიის კომერციულმა დირექტორმა ჯორჯ მიხალოპულოსმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრისას განაცხადა.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წამყვანი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია რეისებს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ჯამში 16 მიმართულებით ევროპის 11 ქვეყანაში შეასრულებს.

რომის, პარიზის, ბარსელონისა და პრაღის მიმართულებით რეისები 2018 წლის მაისიდან დაიწყება. რეისების რაოდენობა გაორმაგდება დღემდე მოქმედ ყველაზე მოთხოვნად მიმართულებებზე, რისთვისაც ქუთაისში ბაზირებული იქნება ავიაკომპანიის A320 ტიპის მეორე საჰაერო ხომალდი.

დაბალბიუჯეტიანი ტურისტებისთვის ქუთაისი ხდება რეგიონული ცენტრი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად რეგიონის მასშტაბით, – ასე შეაფასა **Wizz air**-ის გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

„**Wizz air**-ის ბოლო წლის მონაცემებზე დაყრდნობით, გასამმაგდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ქუთაისის აეროპორტიდან ამ კომპანიის სერვისით სარგებლობს. განსაკუთრებით ვიზალიბერალიზაციის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა **Wizz air**-ის მხრიდან როგორც შემოყვანილი, ისე გაყვანილი ტურისტების რაოდენობა. ასევე მინდა გითხრათ, რომ მომავალი წლის მეორე კვარტლისთვის უკვე მზად იქნება ქუთაისის აეროპორტთან მატარებლის მისასვლელი ბილიკი და ასევე დავიწყეთ ტერმინალის გაფართოების სამშენებლო სამუშაოები“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

Wizz air-ის კომერციულმა დირექტორმა ჯორჯ მიხალოპულოსმა აღნიშნა, რომ საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე მსჯელობა აპრილიდან, საქართველო-უნგრეთის ბიზნესფორუმის ფარგლებში დაიწყო, რომელიც პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივით გაიმართა.

ყაზახური კომპანიები საქართველოთი ინტერესდებიან

საქართველოსა და ყაზახეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა, ქვეყანაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და რეგიონში არსებული ეკონომიკური ვითარება განიხილეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და ყაზახეთის რესპუბლიკის ინვესტიციებისა და განვითარების მინისტრმა ჟენის კასიმბეკმა თბილისში, მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე.

საუბრისას მხარეებმა დადებითად შეაფასეს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებით არსებული დინამიკა და ამ მხრივ არსებული კავშირების შემდგომი გაღრმავების მზადყოფნა გამოთქვეს. ყურადღება დაეთმო სარკინიგზო გადაზიდვების სფეროში თანამშრომლობის გააქტიურებას.

ყაზახეთის მთავრობის წარმომადგენელმა საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში ყაზახური კომპანიების ჩართვის დაინტერესება გამოთქვა.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს რეგიონულ და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და ახალი აბრეშუმის გზის პროექტის ფარგლებში თანამშრომლობაზე. პრემიერ-მინისტრმა ყაზახური დელეგაცია თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მთავრობის ეკონომიკურ პროგრამას შთამბეჭდავად აფასებს

საერთაშორისო სავალუტო ფონდი 2017 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზს 4,3 პროცენტამდე ზრდის და საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პროგრამას შთამბეჭდავად აფასებს, – ამის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მისიის ხელმძღვანელმა მერსედეს ვერა მარტინმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისივე შეფასებით, დაგეგმილი რეფორმების განხორციელება კერძო ინვესტიციების, წარმოებისა და ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ზრდას შეუწყობს ხელს.

IMF-ის მისიის ხელმძღვანელმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით განსაზღვრული ყველა ციფრობრივი კრიტერიუმი, უმეტეს შემთხვევაში, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. ეკონომიკის მოსალოდნელზე სწრაფ ზრდას ხელი შეუწყო გონივრულმა პოლიტიკამ, ასევე – სავაჭრო პარტნიორების სიმრავლემ, ექსპორტმა, ტურიზმმა და ინვესტიციებმა. ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს – შემოსავლები აღემატება პროგნოზს, ხოლო ხარჯები პროგრამის მაჩვენებლების შესაბამისია. იგი მიიმართება მეტი კაპიტალური პროექტის დასაფინანსებლად და დღგ-ის ზედმეტად გადახდილი თანხების ასანაზღაურებლად.

პრემიერ-მინისტრმა საერთაშორისო სავალუტო ფონდს საქართველოს განვითარების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა თანამშრომლობის გაგრძელებისთვის მზადყოფნა დაადასტურა.

მთავრობის პროგრამის – „ერთიანი აგროპროექტის“ შედეგები ახალქალაქში

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კარტოფილის წარმოება მზარდი ტენდენციებით ხასიათდება. წელს ფერმერებმა უხვი მოსავალი მიიღეს და მეზობელ ქვეყნებში, კარტოფილის ექსპორტის ოდენობაც გაზარდეს. საქართველოში კარტოფილის წარმოების დიდი წილი სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე მოდის და ქვეყნის მთლიან წარმოებაში 64 პროცენტს შეადგენს, რაც კარტოფილის წარმოების მაღალი მაჩვენებელია. წელს ექსპორტზე გატანილმა კარტოფილმა 35 ათას ტონას გადააჭარბა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7-ჯერ არის გაზრდილი. მაღალი ხარისხის პროდუქციაზე მოთხოვნა შიდა ბაზარზეც დიდია. ფერმერების თქმით, შემოსავალი 2-ჯერ გაიზარდა.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი პროდუქციის შემნახველი მეურნეობა საქართველოს მთავრობის პროგრამის – „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში გაფართოვდა. ი/მ ს. ეზოიანის პროდუქციის შემნახველ მეურნეობაში წლიურად 600 ტონა კარტოფილი და 200 ტონა მარცვლეული კულტურის შენახვაა შესაძლებელი. საწარმოში 20 ადგილობრივი მოსახლეა მუდმივად დასაქმებული, ხოლო სეზონურად დასაქმებულთა რიცხვი 50 ადამიანით იზრდება.

ახალქალაქის სოფელ ვაჩიანში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ხუთი ვარსკვლავი“, რომელმაც სახელმწიფო სტატუსი 2014 წელს მიიღო, 12 მეპაიეს აერთიანებს. კოოპერატივს აქვს სასაწყობე მეურნეობა.

„დანერგე მომავლის“ პირველი მოსავალი

„დანერგე მომავლის“ პროექტის ფარგლებში შიდა ქართლის რეგიონში სულ 1 169 ჰა მიწის ფართობზე გაშენდა მრავალწლიანი კულტურის სხვადასხვა ხეხილის ბაღები, ხოლო გაცემულმა დაფინანსებამ 7 703 963 ლარი შეადგინა. ახალი ხეხილის ბაღების გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით გაშენებული ფართობი, დღეის მონაცემებით, 3600 ჰექტარია, ხოლო დაფინანსების მოცულობა – 18 202 307 მილიონი ლარი. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „აწარმოე საქართველოში – სწრაფი განვითარებისთვის“ ფარგლებში, ახორციელებს „ერთიან აგროპროექტს“, რომელიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მისი მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

განცხადება

„საერთო გაზეთის“ პროექტი - „ძლიერი რეგიონები - ძლიერი საქართველოსთვის“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით შეჩერებულია მიმდინარე წლის 21 ოქტომბრამდე.

„საერთო გაზეთი“

გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მაღალი, ახოვანი ... უვარგისი!

„ნაცმოძრაობა“ კოლექტიური უდუმაშვილების მხრებზე იდგა და დგას დღემდე

გუშინ, 10 ოქტომბერს, ნაცებმა მორიგი იერიში მიიტანეს საკრებულოზე.

იერიშს თბილისის მერობის კანდიდატი ზალიკო უდუმაშვილი სარდლობდა.

იერიშში კვლავ აქტიურობდნენ ნატა ფერაძე, რომელიც 2012 წლამდე სექსით იყო დაკავებული და ლევან ხაბეიშვილი, ცნობილი დემაგოგი და ინტრიგანი, რომელსაც „ბრძოლის“ დროს გული მისდის ხოლმე და მოწინააღმდეგეები ასულიერებენ ხოლმე ნიშადურით.

არჩევნები კარს მოგვადგა და იმის ნაცვლად, რომ კარდაკარ დადიოდნენ და ამომრჩევლებს თავიანთი პროგრამის უპირატესობაში არწმუნებდნენ, ნაცები კვლავ

იერიშებს და შეჭრა-შევარდნებს გეგმავენ.

ნაცები არ შეცვლილან — როგორც შეჭრა-შევარდნით მოვიდნენ ხელისუფლებაში 2003 წელს, ისევ იმავე მეთოდებით აპირებენ ხელისუფლებაში დაბრუნებას.

ნაცები არ შეცვლილან, ისე როგორც არ შეცვლილა მათი ატამანი სააკაშვილი, რომელიც სულ ახლახან უკრაინაში შეიჭრა.

როგორც ჩანს, ბევრს დაავიწყდა, რომ 2003 წლამდეც ნაცები სულ შეჭრა-შევარდნაში იყვნენ.

გავიხსენოთ თუნდაც კეზერაშვილის „შტურმავიკები“, რომლებიც ხან ერთ სახელმწიფო დაწესებულებას მიუვარდებოდნენ, ხან — მეორეს, ხან — მესამეს.

„ნაციონალებს“ არც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეუცვლიათ ტაქტიკა და სტრატეგია — მათი საქმიანობა მთელი ცხრა წლის განმავლობაში ეს არის შეჭრების და შევარდნების გაბმული და უწყვეტი ციკლი.

„ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც მოქმედებდა, როგორც ჩვეულებრივი ბანდა, როგორც კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც ღიად და დაურიდებლად ძარცვავდა სახელმწიფოს, ატერორებდა და აყაჩაღებდა მოქალაქეებს, ციხეებში ყრიდა, კლავდა და ხოცავდა უდანაშაულო ადამიანებს.

სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ვერა და ვერ დადო დასკვნა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არასოდეს არ ყოფილა პოლიტიკური ორგანიზაცია, ის იყო პოლიტიკური შეფერილობის ბანდა, ქართული „კოზა ნოსტრა“, რომლის მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში ისეთივე ნონსენსია, როგორც რომელიმე კრიმინალური დაჯგუფებისა.

* * *

გთავაზობთ ფრაგმენტებს წერილიდან „მაღალი, ახოვანი ... უვარგისი“, რომელიც „საერთო გაზეთში“ დაიბეჭდა (N26. 05.VII.2017)

„იერისპრუდენციაში არსებობს ასეთი ტერმინი — ორგანიზებული დანაშაული, რაც ისეთ დანაშაულს ნიშნავს, სადაც მრავალი პირი მონაწილეობს, რომლებსაც გადანაწილებული და განსაზღვრული აქვთ ფუნქციები.

„ნაცმოძრაობა“ სწორედ ასეთ ორგანიზაციულ დანაშაულებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა, სადაც ყველას თავისი როლი და ფუნქცია ჰქონდა მიჩენილი.

ცხადია, შეცდომაა დამნაშავედ მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ იმ წევრთა წარმოჩენა, რომლებსაც რაღაც კონკრეტული დანაშაულები აქვთ ჩადენილი.

ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად დამნაშავეა ყველა ის პირი, რომლებიც მათთვის მიჩენილ სამოქმედო უბანზე, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მხარს უჭერდა და ამაგრებდა იმ დანასაულებრივ სისტემას, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ შექმნა.

ვისაც უშუალოდ არ მოუკლავს, ვისაც უშუალოდ არ უწამებია, ვისაც უშუალოდ არ წაურთმევია და არ დაუყაჩაღებია, ვისაც უდანაშაულო ადამიანები უშუალოდ ციხეში არ გაუგზავნია, მაგრამ იცოდა რა ეს ყველაფერი და მაინც „ნაცმოძრაობის“ სამსახურში იდგა, ცხადია, თვითონაც თანამონაწილეა ყველა იმ დანაშაულისა, რაც ჩამოვთვალეთ.

ბატონი ზაალ უდუმაშვილი და მისი კოლეგა ჟურნალისტები წლების განმავლობაში იდგნენ „ნაცმოძრაობის“ სამსახურში, როგორც „რუსთავი-2“-ში, ასევე სხვა საინფორმაციო საშუალებებში და „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ-აგიტაციური მანქანის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ.

სწორედ უდუმაშვილები აპიარებდნენ და „აპრავებდნენ“ „ნაცმოძრაობის“ ქმედებებს, ეწეოდნენ ფაქტების ფაბრიკაციას და დამახინჯებას, მალავდნენ და ჩქმალავდნენ „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილ დანაშაულებს, „მაკიაჟს“ უკეთებდნენ და შელამაზებულ-შეფერადებული სახით წარუდგენდნენ მაყურებელს დანაშაულის ნიშნების შემცველ სხვადასხვა ინფორმაციებს, მონაწილეობდნენ უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ კომპრომატების შეთითხვნასა და მათ გავრცელებაში.

„ნაცმოძრაობა“ კოლექტიური უდუმაშვილების მხრებზე იდგა და დგას დღემდე.

ბატონი უდუმაშვილი, სანამ თბილისის მერობას გადაწყვეტდა, ჯერ უკრაინაში გაემგზავრა მიხეილ სააკაშვილთან კონსულტაციების გასავლელად და მხოლოდ მისი რეკომენდაციის და „კურთხევის“ შემდეგ გააკეთა განცხადება, რომ თბილისის მერობისთვის იბრძოლებდა.

ზაალ უდუმაშვილი უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის პირადი კანდიდატია, მისი ფავორიტია.

განა სასაცილოც და, იმავე დროს, სატირალი არ არის, როდესაც სისხლის სამართლის დამნაშავედ გამოცხადებული პირი, რომლის ექსტრადაციასაც საქართველოს ხელისუფლება დღემდე ითხოვს, ისეთ უმნიშვნელოვანეს პოსტზე, როგორიც თბილისის მერობაა, ბედავს და თავის რჩეულ კანდიდატს წარადგენს?

ასეთი რამ მხოლოდ ქურდულ „სხადნიაკზე“ შეიძლება მოხდეს, როცა ატამანი რომელიმე ქალაქის თუ ზონის „მაყურებლად“ და „ზედამხედველად“ თავის ერთგულ კაცს გაამწესებს ხოლმე და „სხადნიაკის“ წევრები მის შემოთავაზებაზე უარს ვერ ამბობენ. საკითხავია რატომ არ დაიბარეს პროკურატურაში უკრაინიდან დაბრუნებული უდუმაშვილი და რატომ არ კითხეს რა ესაქმებოდა სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ და ძებნაში მყოფ პირთან?

დავუშვათ, მოხდა სასწაული და უდუმაშვილი თბილისის მერად აირჩიეს.

რა სურათს მივიღებთ ამ შემთხვევაში?

რა სურათს მივიღებთ და თბილისის მერად გვეყოლება მრავალ დანაშაულში ბრალდებული და ძებნაში მყოფი პირის მიერ ხელდასმული ადამიანი, რომელიც მთლიანად იქნება მიჯაჭვული მისი ხელდამსმელის და რეკომენდატორის — სააკაშვილის ნებაზე“.

* * *

ერთმა მოქალაქემ ფეისბუქში ასეთი კომენტარი დადო: რომ ემუქრებით, უნდა დავაბრუნებინოთ ბიძინა ივანიშვილს ყველაფერი, რაც თბილისს წაართვაო, რომ მოგიტრიალდეთ ეს კაცი და გითხრათ: კი, ბატონო, დავაბრუნებ ყველაფერს, თუ რაიმე უკანონოდ წამიღია, მაგრამ მანამდე ის დამიბრუნეთ, რაც თბილისისთვის და მთლიანად საქართველოსთვის გამიკეთებიაო, სად მიდიხართ მერე, თქვე ცალტვინა პროვოკატორებო?

რა თქმა უნდა, ხუმრობაა ეს, მაგრამ ამ ხუმრობაში არის რაღაც შტრიხი, რომელმაც შეიძლება მოულოდნელად ნაკრავი მუჯლუგუნივით უცებ გამოგაფხიზლოს და გამოგარკვიოს.

მართლაც სირცხვილი არ არის, რომ კაცს, რომელსაც მილიარდები აქვს გაღებული ამ ქვეყნის კეთილდღეობისთვის, მილიარდებთან შედარებით კაპიკები საღირალ წვრილმანებზე ედავებოდე და ედავებოდე მაშინაც, როცა იქ შესადავებელი არაფერი არ არის?

პოლიტიკურად გაკოტრებული, დამარცხებისთვის განწირული „ნაციონალები“ ისევ შევარდნებით და შეჭრებით ცდილობენ სიტუაციის არევას და ხელისუფლების პროვოკაციაზე წამოგებას, თუმცა მათ ამ ქვებუდანური მიზნების განსახორციელებლად არავითარი რესურსი არ გააჩნიათ.

დარწმუნებული ვართ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, 21 ოქტომბერი, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური აღსასრულის დღე იქნება...

და ბოლოს: ზაალ უდუმაშვილი – მაღალი, ახოვანი და ქვეყნისთვის მაინც მავნებელი და უვარგისი კაცია.

ვახტანგ ხარჩილავა

ქართული პოლიტიკის დიდი ღამე და დილა, რომლის გათენებას ჯერ კიდევ ველოდებით

ვაგრძელებთ ინტერვიუს საერთასორიშო ურთიერთობათა სპეციალისტთან, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს განვითარების ლაბორატორიის“ ხელმძღვანელ ირაკლი გოგავასთან. ჩვენი რესპოდენტი 1999-2004 წლებში საპარლამენტო ფრაქცია „ალიანსი ახალი საქართველოს თავმჯდომარე“ გახლდათ და იმ პერიოდში (2001 წელს) დაუპირისპირდა სააკაშვილსა და მის გუნდს, ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებს, ანუ იმ დროს, როცა ამ უკანასკნელთ მაშინ ბევრი ტაშს უკრავდა და შევარდნაძის მთავარ ოპოზიციად აცხადებდა. 2001 წელს, ირაკლი გოგავას ინიციატივით მიიღო პარლამენტმა პირველი რეზოლუცია, რომლითაც საქართველომ ევროკავშირისკენ სწრაფვა დააფიქსირა. რესპოდენტის პოლიტიკური მოღვაწეობის აქტივად შეგვიძლია ჩავთვალოთ 2002-2003 წლებში ქვეყნის მასშტაბით ყველა პედაგოგისთვის ხელფასისი მომატება, განათლების სფეროს დაფინანსების ზრდა. 2003 წელს მან უარი თქვა სააკაშვილის მიწვევაზე, გამხდარიყო მათი გუნდის წევრი და ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ დატოვა საქართველო.

დიქტატურა დემოკრატიის სახელით

წინა ინტერვიუშიც გითხარით, რომ ვარდების რევოლუციად წოდებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ყველაზე ცუდი ის მოხდა, რომ ქვეყანას დაერღვა ევოლუციური განვითარების გზა, არცერთ ერზე არ უმოქმედია დადებითად სახელმწიფო გადატრიალებას. სააკაშვილმა დასავლეთი დაარწმუნა, რომ საჭირო იყო რეფორმები, რომელსაც ვერ განხორციელებდა დემოკრატიულ გარემოში, ანუ სიტყვის თავისუფლების პირობებში და დასავლეთმაც უფლება მისცა, შეეზღუდა დემოკრატიის ხარისხი. დაიხურა ტელეგადაცემები, შეიქმნა მართვადი ოპოზიციური ჯგუფები და დაიწყო დაპატიმრებები, რაზეც დასავლეთი დუმდა. რაც შეეხება თავად რეფორმებს, წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს პატრულის რეფორმა; უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები, იუსტიციის სახლის ერთი სარკმლის პრინციპი. სამწუხაროდ, სულ ეს არის სააკაშვილის აქტივი რეფორმების სფეროში, მაგრამ ამ რეფორმებსაც რომ დავაკვირდეთ, ზედაპირულია, რადგან არ მიგვიღია უკეთესი სამართალდამცავი სისტემა, პირიქით, პოლიტიკური პოლიციად ჩამოყალიბდა, რომელიც ძალადობდა ხალხზე. მისაღები გამოცდების პროცესი გამოსწორდა, მაგრამ განათლების დონეს არაფერი დასტყობია, მსოფლიოში ერთ-ერთი მაჩანჩალები ვართ ამ კუთხით. იუსტიციის სახლში ერთი სარკმლის პრინციპი კი დაამკვიდრეს, მაგრამ მოსახლეობას თანხის გადახდა უწევს მისაღებ დოკუმენტაციაში, არადა იუსტიციის სამინისტრო ბიუჯეტიდან, ანუ ხალხის ჯიბიდან ფინანსდება. ხალხს, ფაქტობრივად ორჯერ ახდევინებდნენ ფულს, ჯერ ბიუჯეტში გადასახადების სახით, ხოლო შემდგომ ხსენებულ უწყებაში. მოკლედ, ისე მოაწყვეს სისტემა, რომ ხალხს ორჯერ აფინანსებინებდნენ საბიუჯეტო სფეროს. ამას ემატებოდა ე.წ. სოროსის სახელფასო დანამატი. საბოლოო ჯამში, სააკაშვილმა ცხრა წლის განმავლობაში, „შავად“ და „თეთრად“ 200 მილიარდი ლარის ფარგლებში თანხა განკარგა. ეს თანხა ფაქტობრივად გაფლანგულია, რადგან ათიოდე იუსტიციის სახლს, სიღნაღისა და ბათუმის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას, თბილისი-გორის 50 კილომეტრიანი ავტობანის, პრეზიდენტისა და პარლამენტის სასახლეები მშენებლობას 2-3 მილიარდი ლარი ეყოფოდა, თანაც ხსენებული სასახლეების აშენება, ნამდვილად არ იყო ქვეყნისთვის პრიორიტეტი. დანარჩენი ფული სად წავიდა, ეს სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას უნდა ვკითხოთ, რომლებიც თავს იწონებდნენ და იწონებენ, ბიუჯეტი რამდენჯერმე გავზარდეთო. 10.000-ლარიანი პრემიები, 20%-იანი „ატკატები“ და ელიტური კორუფცია იყო მათი ცხოვრების წესი, მათ გამო, ქვეყანამ უზარმაზარი რესურსები და დრო დაკარგა, ხალხის ფულს უაზრო ე.წ. პროექტებში ყრიდნენ.

2002 წელს, ედუარდ შევარდნაძესთან კაბინეტში მივედი და მოვითხოვე, რომ კორუფციასთან ბრძოლა დაეწყო, იმ პერიოდში ჟვანია-სააკაშვილის გუნდის წევრები იყვნენ ყველა სარფიან თანამდებობაზე და კორუფციაში იხრჩობოდა ქვეყანა. შევარდნაძეს კონკრეტული წინადადებები გავაცანი, თუ სად იყო რესურსები, საიდან უნდა ამოგვეღო საბიუჯეტო გადასახადები, გახსოვთ, თვეობით იგვიანებდა ხელფასები და პენსიები, იმის მომიზეზებით, ბიუჯეტში ფული არ არისო. შევარდნაძის პასუხმა გამაოგნა, რა გინდა, ხალხი დავიჭირო?! არ დავიჭერ, დაჭერა ჩემი მოგონილია, მაგრამ ეგ არ შველის საქმეს. რაც შეეხება გადასახადების ამოღებას, ჯობია ხალხში იტრიალოს ფულმა, თორემ თუ ამოვიღებთ, ბიუჯეტიდან ჩინოვნიკები მოიპარავენო. მერე რომ გავაანალიზე მისი პასუხი, მივხვდი, ამ ჩინოვნიკებში ჟვანია-სააკაშვილის ხალხს გულისხმობდა და პირველ რიგში ის არ უნდოდა, რომ მათ არ ჩაეგდოთ ხელში უფრო მეტი ფული. შევარდნაძეს მეორე საკითხად კონტრაბანდის აღკვეთა შევთავაზე, მაგრამ ამაზეც უარი მივიღე, კონტრაბანდას 24 საათში გავაჩერებ, მაგრამ ხალხს ჰკითხე თუ მოეწონება, ყველაფერი ხომ გაძვირდებაო. შევარდნაძეს არ დაუმალავს, რომ სავალუტო ფონდი აწესებინებდა მაღალ გადასახადებს, თვლიდა, რომ ეს არ იყო ქვეყნისთვის კარგი, არ განვითარდება მრეწველობა და ეკონომიკა, ამ გზით რაღაც შვებას ნახულობს ხალხიო. აი, ეს პოზიცია ჰქონდა შევარდნაძეს. სააკაშვილმა ბიუჯეტი სწორედ ხალხისგან, ბიზნესიდან ამოღებული ფულის ხარჯზე გაზარდა, მაგრამ უყაირათოდ დახარჯა. გადასახადების ამოღების არცერთი ეს გზა არ არის სწორი, ყველაზე მართებული, ბიზნესისთვის დაბალი გადასახადების დაწესება და ამოღებული ფულის ხარჯვაზე უმკაცრესი კონტროლია. შევარდნაძის მმართველობისას, თითქმის ყოველ წელს ბიუჯეტის სეკვესტრს, ანუ შემცირებას ითხოვდა ფინანსთა სამინისტრო, ეს იყო პენსიებისა და ხელფასების გაცემის დაგვიანების მიზეზი. ეს სპეციალურად კეთდებოდა და ორ მიზანს ისახავდა, პირველი, შევარდნაძის მიმართ გაზრდილიყო ხალხის უკმაყოფილება და მეორე — სამინისტროებს სთავაზობდნენ, 20%-იანი „ატკატის“ სანაცვლოდ მიეღოთ კუთვნილი საბიუჯეტო თანხები, ანუ არ მოხვედრილიყვნენ საბიუჯეტო შემცირებაში.

სააკაშვილი – ქართველებისთვის უცხო იდეოლოგიის „იმპორტიორი“

ერთ გარემოებას მინდა ხაზი გავუსვა, სააკაშვილს არ აქვს იდეოლოგია და პოლიტიკური პრინციპები, მისთვის მთავარია ყურადღების ცენტრში იყოს და ძალაუფლება ჰქონდეს. ის იდეოლოგია, რასაც სააკაშვილი და მისი გუნდი საქართველოში ამკვიდრებდნენ და დღესაც ამკვიდრებენ, ერთ მიზანს ემსახურება — ქვეყანამ დაკარგოს თავისი მართებული ორიენტირი. ნებისმიერ ქვეყანას გააჩნია ეროვნული ინტერესები, რომლის ფუნდამენტური ნაწილები, პრინციპში უცვლელია. საქართველოს ეროვნული ინტერესია, ერის დემოგრაფიული უსაფრთხოება; სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა; ქვეყნისა და მისი მოქალაქეების ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა, ყველა დანერჩენი ტაქტიკისა და ტექნიკის საკითხია. დღეს ჩვენ რა სურათი გვაქვს? ერი გადაშენების ზღვარზეა, ასეთი დემოგრაფიული ტენდენციებით 2040 წელს, მილიონნახევარი დავრჩებით. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობაც ფორმალობაა, რადგან მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაში არ ვართ თავისუფალი. რა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობაც გვაქვს, ყველას კარგად მოეხსენება, დღეს ჩვენ ევროპის ყველაზე ღარიბ სახელმწიფოს წარმოვადგენთ ერთ სულ მოსახლეზე 3.000 დოლარი მთლიანი შიდა პროდუქტით. გამოდის, რომ ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა საკითხში დიდი პრობლემა გვაქვს. ის იდეოლოგია, რომელსაც სააკაშვილი ამკვიდრებდა და დღესაც გრძელდება, ერთ მიზანს ემსახურება, ერმა არ იფიქროს მთავარ საკითხებზე. გადახედეთ მედია სივრცეს, არასამთავრობო სექტორის საქმიანობას, პოლიტიკური ჯგუფების მოღვაწეობას, ხსენებულ საკითხებზე იშვიათად მიდის საუბარი, სამაგიეროდ ტოპ-თემაა ლგბტ-თემი; მარიხუანას ლეგალიზაცია; ქორწინებამდე სექსი და ა.შ. ტელედებატებზე უმეტესწილად იდიოტებს იწვევენ, თუ გვახსოვს ე.წ. მოწინავე ტელეარხებზე რომელიმე აკადემიკოსის გამოსვლა? აი, ეს არის დღევანდელი რეალობის ტრაგედია, მეათეხარისხოვან საკითხებზე ხდება მოსახლეობის ყურადღების გადატანა და ყველა ერთად მივექანებით უფსკრულისკენ. რაც შეეხება ლიბერალიზმს, არსებობს ასეთი გამოთქმა — უგულოა ადამიანი, თუ ის ახალგაზრდობაში ლიბერალი არ არის, ხოლო უჭკუოა ადამიანი, თუ ის ასაკში კონსერვატორი არ არის.

ეიჯიზმი

ძალიან მტკივნეული თემაა უფროსი თაობებისადმი აგდებული დამოკიდებულება, რომლებიც სააკაშვილმა საერთოდ „ჩარეცხილებად“ გამოაცხადა. საქართველოში „ეიჯიზმი“, ანუ ასაკოვანი ადამიანების წინააღმდეგ გალაშქრების პირველი ტალღა, შევარდნაძის მმართველობის დროს აგორდა. მაშინ ამ პროცესს იმით ხსნიდნენ, რომ ქვეყნის მართვის სადავეებიდან უნდა ჩამოშორებინათ, რაც შეიძლება მეტი საბჭოთა

6 გვ.

დემოგრაფია ციფრებში, ანუ ვინ შემოჰკრავს განგაშის ზარებს?

„საერთო გაზეთის“ სტუმარია დემოგრაფი, პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დემოგრაფიული პრობლემების კვლევის ცენტრის დირექტორი ანზორ თოთაძე:

— არავისთვის საიდუმლო არ გახლავთ, რომ საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა და ამ ფონზე, ძალიან უცნაურია თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში გაჩაღებული ბინათმშენებლობის ბუმი. ახლად აშენებული კორპუსები სანახევროდ ცარიელია, ხალხი ემიგრაციაში მიდის, მყიდველი არავინაა, მაგრამ მშენებლობის ტემპები მაინც იზრდება.

— **სამშენებლო კომპანიები მოგებაზე ორიენტირებული არიან, ამიტომ, შესაბამისი გათვლების გარეშე არაფერს აშენებენ.**

— სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვა — რატომ და ვისთვის აშენებენ? გემახსოვრებათ, სააკაშვილმა ბრძანა, ჩვენ უნდა ავაშენოთ ლაზიკა, სადაც მალე 600 000 კაცი იცხოვრებსო. მერე განაცხადა ქუთაისში 500 000 კაცი იცხოვრებსო და ბათუმში 400 000 კაცი დასახლდებაო, როცა მთელ აჭარაში არ ცხოვრობდა ამდენი. საერთოდ, სააკაშვილს როყიო ლაპარაკი ახასიათებდა, მაგრამ იგივე სხვა ადამიანებმაც გაიმეორეს. მახსოვს ერთ-ერთ ტელეგადაცემაში კახა ბენდუქიძემ ბრძანა, ლაზიკა ტერიტორიით და მოსახლეობით თბილისს გაუტოლდებაო. გამოდის, რომ ამ გეგმის თანახმად, მარტო ორ ქალაქში — თბილისსა და ლაზიკაში 2 მილიონ ნახევარ ადამიანს უნდა ეცხოვრა. ამას დაუმატეთ ქუთაისი თავისი 500 000-ით, ბათუმი 400 000-ით, რუსთავი, ფოთი და ა.შ. ყველა სოფელი და პატარა ქალაქი დიდ ქალაქებში რომ გადაგვესახლებინა, ამდენი მაინც არ გამოდიოდა. მაშინ რა მონაცემებზე დაყრდნობით ამბობდნენ ამხელა რიცხვებს? რამდენიმე დღის წინ, ბათუმთან ახლოს, ერთ-ერთი სოფელში ვიყავი სტუმრად და ვნახე, რომ ბათუმში დიდი მშენებლობებია გაჩაღებული. 20—30 სართულიანი სახლები შენდება. ზოგი კორპუსი უკვე დასრულებულია, თუმცა არავინ ცხოვრობს. ზოგი მშენებლობის პროცესშია, ზოგან მშენებლობა ახლა იწყება. მთლიანად, აჭარაში 333 000 კაცი ცხოვრობს. აქედან 154000 ბათუმშია. სოფლად მაცხოვრებელი 133 000 ადამიანი ახლავე რომ ავყაროთ და ბათუმში დავასახლოთ, ამდენ ცარიელ ბინას მაინც ვერ შევავსებ თ. ბათუმში ყოფნისას, გავიგე, რომ ერთ-ერთ ახლად აშენებულ კორპუსში ირანის მოქალაქემ 30 ბინა შეიძინა. აი, ვისთვის შენდება ეს კორპუსები.. ჩვენ მივდივართ და სხვები ჩამოდიან და მე ამ მდგომარეობას ემიგრაციულ და იმიგრაციულ სიკვდილს ვუწოდებ.

— **დემოგრაფიის თვალსაზრისით, საქართველოს სხვა რეგიონებში რა მდგომარეობაა?**

— დემოგრაფიული ვითარების დამძიმება 1989 წლიდან დაიწყო და საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა. მოგეხსენებათ, 1989—2002—2014 წლებში მოსახლეობის აღწერები ჩატარდა, რომლებიც მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ ყველაზე ზუსტ და საიმედო მონაცემებს იძლევა. 2014 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობამ 3 მლნ. 713 804 კაცი შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ 1989 წლის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობა 1 მილიონ 687 000-ით, ხოლო 2002 წელთან შედარებით, 657 000 -ით შემცირდა. საგანგაშოა, რომ მოსახლეობის კლება განსაკუთრებით ქართველებით დასახლებულ რეგიონებში შეინიშნება.

— **იქნებ, რეგიონების მიხედვით დაგვისახელოთ, მოსახლეობა სად და რამდენით შემცირდა..**

— მე-19 და მე-20 საუკუნის მონაცემებით, საქართველოს ყველაზე ხალხმრავალი რეგიონი იმერეთია. 1989 წელს იმერეთის მოსახლეობა 767 000 კაცს შეადგენდა. 2002 წელს ეს რიცხვი 700 000-მდე შემცირდა, ხოლო 2014 წელს იმერეთში მაცხოვრებელთა რიცხვმა 534000 კაცი შეადგინა. შესაბამისად, იმერეთის მოსახლეობა 2014 წელს 1989 წელთან შედარებით, 233 000-ით, ხოლო 2002—2014 წლებში 165 000-ით შემცირდა, რაც ძალიან დიდი რიცხვია. მომდევნო 25 წელიწადის განმავლობაში, კლება თუ ასეთი ტემპებით გაგრძელდა, იმერეთს გაუკაცრიელება მოელის.

— **რა მდგომარეობაა დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში?**

— 2002—2014 წლებში ანუ ბოლო 12 წლის განმავლობაში, სამეგრელოს მოსახლეობა 135 000 კაცით, ხოლო გურიის მოსახლეობა 30 000 კაცით შემცირდა. საგანგაშოა, რომ ცარიელდება საქართველოს ძირძველი, მთიანი კუთხეები: რაჭა, ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი და სხვა. მაგალითად, 1939 წელს რაჭაში 67 000 კაცი ცხოვრობდა, ამჟამად კი მხოლოდ 17 000 კაცი ცხოვრობს და ისინიც ძირითადად, უფროსი ასაკის ადამიანები არიან. აღსანიშნავია, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში, რაჭის მოსახლეობაში 400—500 კაცით მეტი კვდება, ვიდრე იბადება და თუ ასე გაგრძელდა, ორ-სამ ათწლეულში რაჭა მოსახლეობისგან საერთოდ დაიცლება. ანალოგიური ვითარებაა სვანეთში. 1980 წელს ზედა და ქვედა სვანეთში 30 000 კაცი ცხოვრობდა, ამჟამად კი მხოლოდ 13 000 კაცი ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ ისტორიულად, დასავლეთ საქართველოში ყოველთვის მეტი მოსახლეობა იყო, ვიდრე აღმოსავლეთში. მაგალითად, 1886 წელს რუსმა მოხელეებმა ამიერკავკასიის საოჯახო სიები შეადგინეს, რომლის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობამ 1 მლნ. 731000 კაცი შეადგინა. აქედან 1 მილიონ 218 000 კაცი ანუ მოსახლეობის 70% ქართველი იყო. საოჯახო სიების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში 396 000 ქართველი ცხოვრობდა, ხოლო დასავლეთში 822 000 კაცი ანუ თითქმის ორჯერ მეტი. აღმოსავლეთ-დასავლეთში მოსახლეობის რაოდენობა 1989 წელს გათანაბრდა. ამ დროს, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში 1 824 000 კაცი ცხოვრობდა. 2014 წელს ვითარება შეიცვალა და თუ დასავლეთ საქართველოში მაცხოვრებელთა რაოდენობამ მილიონ 323 000 კაცი შეადგინა, აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის 600 000-ით მეტი ანუ მილიონ 902 000კაცია. დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის ნაწილი თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში წავიდა, ნაწილი საზღვარგარეთ გაემგზავრა, რაც მეტად უარყოფითი მოვლენაა. ბუნებრივია, ეს ვითარება დასავლეთ საქართველოს ქალაქებზეც აისახა. მაგალითად, 1989 წელს ქუთაისის მოსახლეობა 233 000 შეადგენდა, 2014 წელს კი ეს რიცხვი 148 000-მდე შემცირდა. ქუთაისმა, რომელიც მოსახლეობის რაოდენობით, ყოველთვის თბილისის შემდეგ იყო, ადგილი ბათუმს დაუთმო და მეორედან მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

— **როგორი დემოგრაფიული სურათი გვაქვს აღმოსავლეთ საქართველოში?**

— ბოლო 12 წლის განმავლობაში, კახეთის მოსახლეობა 89 000-ით შემცირდა, რაც ძირითადად, ქართულ რეგიონებზე აისახა. ზოგადად, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში სოფლების გაუკაცრიელება შეინიშნება. 2014 წელს ქალაქის მოსახლეობამ 2 მლნ 122 000 შეადგინა, ხოლო სოფლის მოსახლეობა 1 მლნ. 591000, რაც იმას ნიშნავს, რომ 2002 წელთან შედარებით, ქალაქის მოსახლეობა 162 000 კაცით შემცირდა, ხოლო სოფლის მოსახლეობა 496 000-ით. თუ 1989 წლის აღწერის შედეგებს შევადარებთ, დღეს სოფლის მოსახლეობა 818 000 კაცით არის შემცირებული. სოფელი თითქმის მთლიანად დაიცალა ფერტილური ასაკის მოსახლეობისგან, რის გამოც შობადობა საგრძნობლად შემცირებულია. თუ ადრე სოფლად გაცილებით მეტი ბავშვი იბადებოდა, ამჟამად სოფლებში საქართველოში დაბადებულ ბავშვთა მხოლოდ მესამედი იბადება.

— **გაუკაცრიელებული სოფლები ახსენეთ.. რამდენი ასეთი სოფელი გვაქვს და კიდევ რამდენს ემუქრება გაუკაცრიელება?**

— სამწუხაროა და დასაფიქრებელია, რომ ასეთი სოფლების რიცხვი იზრდება. მაგალითად, თუ 2002 წელს 143 გაუკაცრიელებული სოფელი გვქონდა, ამჟამად, 223 გაუკაცრიელებული სოფელია. იზრდება მცირე სოფლების რაოდენობაც. თუ 2002 წელს 16 ერთ კაციანი სოფელი გვქონდა, ახლა ასეთი 39 სოფელია. 19 ორკაციანი სოფლის ნაცვლად, ახლა 46 ორკაციანი სოფელი გვაქვს, 11 სამკაციანი სოფლის ნაცვლად, ახლა 27-ია და ა.შ. წარმოიდგინეთ, როგორი მძიმე საცხოვრებელი პირობები იქნება ასეთ სოფლებში, თუმცა ჩვენისთანა ღარიბი ქვეყნისთვის ძალიან ძნელია ერთკაციან და ორკაციან სოფლებში კომუნიკაციების გაყვანა და ინფრასტრუქტურის განვითარება. 2002 წელს 132 სოფელი გვქონდა, სადაც ერთიდან ათ კაცამდე ცხოვრობდა, ახლა ასეთი 255 სოფელი გვაქვს. 2002 წელს საქართველოში 28 დიდი სოფელი აღირიცხა. აქედან თითოეულის მოსახლეობა 5000 კაცს აჭარბებდა. ამჟამად, ასეთი სოფლების რაოდენობა თორმეტამდე შემცირდა და იქაც ძირითადად, მოხუცები არიან. შემცირდა 100 კაციანი სოფლების რაოდენობაც. ამჟამად, 1306 სოფელი გვაქვს, სადაც 100 კაცამდე ცხოვრობს და ეს საქართველოში არსებული სოფლების 36%-ია.

— **როგორც ბრძანეთ, მოსახლეობის კლება განსაკუთრებით ეთნიკური ქართველებით დასახლებულ რეგიონებს შეეხო. იქნებ, ამ პროცესების გამომწვევ მიზეზებზეც გვიამბოთ?**

— 1989 წელს ქართველები საქართველოს მოსახლეობის 70% შეადგენდნენ, მაგრამ ამ პერიოდიდან დაიწყო ქვეყნიდან სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის გადინება და ასეთ პროცესებს მარტო ჩვენთან კი არა, უკრაინაში, ბელორუსიაში და სომხეთშიც ჰქონდა ადგილი. ისტორიულად, ქართველების შემდეგ, საქართველოში ყველაზე მეტი სომეხი ცხოვრობდა, მაგრამ მოგვიანებით, ქვეყნიდან მათი მასიური გასვლა დაიწყო. 1989 წელთან შედარებით, 2012 წელს საქართველოში სომხების რაოდენობა 269 000 კაცით შემცირდა და მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, მეორე ადგილზე აზერბაიჯანელებმა გადაინაცვლეს. განსაკუთრებით შემცირდა რუსების რაოდენობა. 1989 წელს საქართველოში 341000 რუსი ცხოვრობდა, ამჟამად კი მხოლოდ 26 000 ცხოვრობს. ასე, რომ ქვეყნის მოსახლეობაში ქართველების პროცენტული რაოდენობა სხვა ეროვნების ადამიანების წასვლის შედეგად გაიზარდა და არა ბუნებრივი მატების გამო. 2014 წელს საქართველოში 3 224 000 ქართველი ცხოვრობდა, რაც ქვეყნის მოსახლეობის 86.8% შეადგენდა. 1989 წელთან შედარებით, 2014 წელს ქართველების რაოდენობა 562 000- ით შემცირდა. ხოლო 2002 წელთან შედარებით, 436 000 კაცით. როგორც ხედავთ, ქართველების რაოდენობა ძირითადად, 2002—2014 წლებში შემცირდა და ეს წლები ზუსტად ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს ემთხვევა.

6 გვ.

ქართული პოლიტიკის დიდი ღამე და დილა, რომლის გათენებას ჯერ კიდევ ველოდებით

4 გვ.

მენტალიტეტის მქონე ადამიანი და „კაგებეს“ აგენტი. სხვათა შორის, მე 25 წლის ასაკში ამ ტალღაზე მოვხვდი პარლამენტში. სააკაშვილის მმართველობისას, ასაკოვანი ადამიანების დისკრიმინაციას სხვა დატვირთვა ჰქონდა. ახალგაზრდა ასაკში ადამიანს ჯერ ბოლომდე არ აქვს ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა, ცხოვრებისეული გამოცდილებაც ნაკლებად აქვს, შესაძლოა, პრიორიტეტები სწორად ვერ განსაზღვროს, ერთი სიტყვით, ახალგაზრდის მართვა უფრო მარტივია იმ შემთხვევაში, თუ მას ყალბ იდეალებს შეუქმნი. მეცნიერული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ 40 წლამდე ადამიანის ტვინი სწრაფად ვითარდება. თაობების ე.წ. ჩარეცხვის მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ დაიწყეს ბრძოლა ავტორიტეტების წინააღმდეგ. საზოგადოებრივი აზრის ლიდერები, როგორც წესი ასაკოვანი ადამიანები არიან, „სააკაშვილმა და კამპანიამ“, სწორედ კარგავს მიიღოს მეტი ცოდნა. როგორც სააკაშვილის მმართველობისას, დღესაც ქვეყანაში ტოტალური ნეპოტიზმია, შედეგად კი იმას ვიღებთ, რომ განათლებული ადამიანები ქვეყნიდან გაედინებიან. აუცილებელია, რომ ახალგაზრდობამ მეტი იკითხოს, 14 წლიდან მოყოლებული, ყოველდღიურად საშუალოდ 150–200 გვერდი თუ არ წავიკითხე, ისე ვერ ვიძინებ. ეს უამრავ ინფორმაციასა და ცოდნას მაძლევს, კითხვის დროს ტვინი ვითარდება, მაგრამ ნახეთ რა ფასი ადევს წიგნებს, მათ ყიდვას ყველა ვერ შეძლებს, ინტერნეტში კი ყველაფერი არ არის. პრობლემაა ისიც, რომ საქართველოში შეწყდა ან შეიზღუდა სამეცნიერო ლიტერატურის შემოდინება, ადრე შეიძლებოდა რუსულ ენაზე ლიტერატურის შოვნა, ახლა აღარ შემოდის. სამეცნიერო ნაშრომს ინგლისურად და ფრანგულად ყველა მეცნიერი ვერ კითხულობს, ამიტომაა წარმატებული მეცნიერი იშვიათი მოვლენა რომ გახდა. მოკლედ, გაუნათლებლობის

საზოგადოებაზე გავლენის მქონე ადამიანების დისკრედიტაცია დაიწყეს. ეს პროცესი ინერციით დღესაც გრძელდება, გადახედეთ სააკაშვილის დროინდელ, ან თუნდაც დღევანდელ პარლამენტს, პოლიტიკური პარტიების მოწინავე სახეებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყალბი ფასეულობების მატარებელი ხალხია, რომელთა რწმენა მხოლოდ საკუთარი კონფორმიზმია.

ქვეყნის კატასტროფული მდგომარეობიდან გამოსავალი

სამწუხარო რეალობაა, რომ დღეს საქართველოში განათლების უკიდურესად დაბალი დონეა, ერთადერთი გამოსავალი განათლებული ხალხის სიმრავლეა. პოლიტიკურ ელიტაშიც პრობლემაა სიღრმისეული განათლება, გაივლიან ერთწლიან კურსებს რომელიმე საელჩოს დაფინანსებით და თავი გენიოსები ჰგონიათ. განათლების პირველი მტერი ნეპოტიზმია, როცა ადამიანი ხედავს, რომ რომელიმე პოზიციის დასაკავებლად, მთავარი ცოდნა და განათლება კი არ არის, არამედ ნაცნობობა და კავშირები, სტიმულს ორმოში ვართ და თავს ვერ ვაღწევთ, გაუნათლებელი ჩინოვნიკი თუ ჟურნალისტი, უდიდეს ზიანს აყენებენ ქვეყანას. დღეს მთავარი ფორმაა და არა შინაარსი, რისი მიზეზიც განათლების დაბალი დონეა. საქართველოს ინტერესების სამი მთავარი პუნქტი ვახსენე, რომელიც ფაქტობრივად არ სრულდება. მათი მეტნაკლებად წარმატებით შესრულება თუ გვინდა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყველაფრის გასაღები ეკონომიკაშია. თუ გაქვს ფული, გაქვს განათლება, ჯანდაცვა, სპორტი, კულტურა, მეცნიერება და ავტორიტეტი საერთაშორისო ასპარეზზე. მთავარია, წარმოების განვითარება, სწორედ ეს ქმნის დოვლათს, სამუშაო ადგილებს, სავალუტო შემოსავლებს. ჩემი გათვლებით, საქართველოს ჭირდება მინიმუმ 1600 საწარმო, სადაც პირდაპირ დასაქმდება 200.000 ადამიანი. ეს გადაწყვეტს უმუშევრობის პრობლემას და ქვეყნიდან ხალხის გადინებაც შეწყდება. დღეს მილიონ ადამიანზე მეტია უმუშევარი. ეკონომიკაში არსებობს კანონი, წარმოების სფეროში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი, ირიბად ქმნის 4–5 დამატებით სამუშაო ადგილს მომიჯნავე სფეროებში. რაც შეეხება საწარმოებს, საჭიროა, პატარა და საშუალო ზომის საწარმოები, რომლებიც მორგებული იქნება რეგიონში არსებულ ნედლეულს და შრომით რესურსს. თუ ეს გეგმა განხორციელდა, 5–6 წელიწადში გასამმაგდება საქართველოს ეკონომიკა, ხალხი დასაქმდება და მეტი ფულიც გაჩნდება გზების, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის, კულტურის, განათლებისთვის და ა.შ. არც ისე წარმოუდგენელია მსგავსი პროექტის განხორციელება, ყოველწლიურად ორი მილიარდი დოლარის ინვესტიციაა საჭირო და 4–5 წელიწადში შეიქმნება 1600 საწარმო. დღეს რა ხდება? სამუშაო ადგილებს უცხო ქვეყნებში ვქმნით, იმ ფულით, რომელსაც საქართველო პროდუქციის იმპორტში (რვა მილიარდ დოლარზე მეტი) იხდის, იმპორტიორ ქვეყნებში დაახლოებით ნახევარი მილიონი სამუშაო ადგილი იქმნება. საქართველოს ბანკები ბიზნესის დასაწყებად თანხებს იშვიათად გასცემენ, სამაგიეროდ სამომხმარებლო კრედიტს უცხოური მაცივრის, ტელევიზორის ან ტელეფონის შესაძენად სიამოვნებით მოგცემენ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ბანკები უცხოეთის ეკონომიკებს აფინანსებენ და იქ ქმნიან სამუშაო ადგილებს. სააკაშვილმა 2006 წელს თავისუფალი ვაჭრობა დაუწესა თურქეთს, სწორედ იმ პერიოდიდან იწყება საქართველოს სოფლის მეურნეობის კვდომა, 2011 წელს, 2003 წელთან შედარებით დახნული იყო მიწის 22%. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები წამგებიანია საქართველოსთვის, ადგილობრივი წარმოების გახსნას აზრი ეკარგება. პირიქით, ადგილობრივი მწარმოებელი უნდა დავიცვათ და ხელი შევუწყოთ, რადგან მას ჩვენი მოსახლეობა ჰყავს დასაქმებული და საქართველოს ბიუჯეტს ავსებს. მან ექსპორტზეც თუ გაიტანა საკუთარი პროდუქცია, მყარი ვალუტა შემოაქვს და ლარს ამყარებს. ეკონომიკაზე, სოფლის მეურნეობასა და წარმოების სიკეთეებზე დიდხანს შემიძლია გესაუბროთ კონკრეტული გათვლებითა და ციფრებით.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

დემოგრაფია ციფრებში, ანუ ვინ შემოჰკრავს განგაშის ზარებს?

5 გვ.

— ნაციონალებს რომ ჰკითხოთ, ხელისუფლებაში მათ მოსვლას ქვეყნის აღმშენებლობა და აყვავებას მოჰყვა და ქართველების რაოდენობის შემცირება რას უნდა დაავაბრალოთ?

— ამას უამრავი მიზეზი აქვს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმეზე შევაჩერებ ყურადღებას. საბჭოთა კავშირის დროს, პატიმართა რაოდენობით 15 მოკავშირე რესპუბლიკას შორის, მე-11 ადგილზე ვიყავით. შევარდნაძის დროს, დაახლოებით 5000 პატიმარი გვყავდა და უცებ, პატიმართა რაოდენობით მსოფლიოში მეორე ადგილზე აღმოვჩნდით. ყველაზე უცნაურია, რომ ამ პერიოდში საქართველოდან მილიონ 671000 კაცი გავიდა და ეს ძირითადად, 20-დან 50 წლამდე ადამიანები იყვნენ ანუ ის ასაკობრივი კატეგორია, სადაც დანაშაულის ჩადენის ალბათობა ყველაზე მეტია. ამ ხალხის წასვლის შემდეგ, საქართველოში ძირითადად, მოხუცები და 18 წლამდე ახალგაზრდები დარჩნენ.ე.ი დანაშაული და პატიმართა რაოდენობა კი არ უნდა გაზრდილიყო, უნდა შემცირებულიყო, თუმცა, პირიქით მოხდა.

— დიახ, ასეა. სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, ციხეებში პატიმართა რაოდენობა 400%-ით გაიზარდა.

— ამასაც თავისი მიზეზები აქვს. წარმოგიდგენიათ, 25000 პატიმარი და 300000 პრობაციონერი რამდენი ოჯახი? ბუნებრივია, ეს ხალხი არჩევნების დროს, ხმას ნაციონალიურ მოძრაობას მისცემდა, რადგან ქვეყანა შიშით იმართებოდა.

პატიმრების უმეტესობა სწორედ ფერტილური ასაკის ახალგაზრდა იყო, რომელსაც ოჯახი უნდა შეექმნა და ერი გაემრავლებინა. მე დავიანგარიშე და ეს მასობრივი დაპატიმრებები რომ არა, საქართველოში იმდენი ბავშვი დაიბადებოდა, რამდენიც ერთ წელიწადში იბადებოდა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერმა დემოგრაფიუო პროცესებზე საშინლად იმოქმედა. იმ წლებში იმდენი რამე გაფუჭდა, რომ ამის ხელის „ერთი ხელის მოსმით“ გამოსწორება ძალიან ძნელია და როცა შეუსრულებელ დაპირებებზე ვსაუბრობთ, ესეც უნდა გავითვალისწინოთ. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს დემოგრაფიულმა პრობლემებმა კავკასიაში დემოგრაფიული ბალანსი დაარღვია. ჩვენ კავკასიაში ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი ვიყავით. მაგალითისთვის გეტყვით, რომ 1926 წელს ყოველი მესამე კავკასიელი ქართველი იყო. 1965 წლამდე, ჩვენი მოსახლეობა აზერბაიჯანისას თითქმის 400 000-ით აჭარბებდა. აზერბაიჯანისა და საქართველოს მოსახლეობის გათანაბრება პირველად 1965 წელს მოხდა. ამჟამად კი აზერბაიჯანის მოსახლეობამ თითქმის 10 მილიონს გადააჭარბა, ხოლო საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონ 713 804 კაცს შეადგენს.

— არასახარბიელო მონაცემებია. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, ასეთი დემოგრაფიული პრობლემები მხოლოდ ჩვენ გვაქვს?

— მოგეხსენებათ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან ცხრაში ქრისტიანულ მართლმადიდებლობას აღიარებდნენ. სწორედ ამ ცხრა რესპუბლიკაში შემცირდა 1989–2016 წლებში მოსახლეობა 14 მილიონით. დანარჩენ მაჰმადიანური რელიგიური აღმსარებლობის რესპუბლიკებში კი მოსახლეობა 23 მილიონით გაიზარდა. რაც შეეხება ჩვენს უშუალო მეზობლებს, ბუნებრივი მატება (ანუ რამდენი ადამიანით მეტი დაიბადა, ვიდრე გარდაიცვალა) ყველგან მაღალია. 2000-იან წლებში თურქეთში ბუნებრივმა მატებამ 8 მილიონ 835 000 შეადგინა, აზერბაიჯანში 830 000, სომხეთში 120000 კაცი ხოლო საქართველოში მხოლოდ 53000 და ეს ბუნებრივი მატებაც ძირითადად, არაქართველებით დასახლებულ რეგიონებზე მოდიოდა.

— წინა წლებში როგორი ბუნებრივი მატება გვქონდა?

— 60 -იან წლებში საქართველოში ბუნებრივი მატება 650000 იყო. 70-იან წლებში 453000. ასე, რომ აშკარა კლება სახეზეა. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე, ასეთი მძიმე დემოგრაფიული სურათი არ ჰქონია. რა თქმა უნდა, ყოფილა პერიოდი, როდესაც მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, უარესი მდგომარეობა გვქონია, მაგრამ მაშინ სრულიად სხვა რეალობა იყო. გლობალიზაციის პირობებში სულ უფრო რთულდება დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, ამიტომ ისედაც მძიმე ვითარება სხვადასხვა მიზეზების გამო, კიდევ უფრო მძიმდება. დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებისთვის აუცილებელია აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება და ამის გაკეთებას რაც უფრო სწრაფად დავიწყებთ, მით უკეთესია..

ნელი თორდია
571 35 36 88

უცნაური სვლები მსოფლიოს საჭადრაკო დაფაზე

პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენებისთვის ბრძოლა სამყაროში კვლავ გრძელდება. პოლიტოლოგების აზრით, სავარაუდოდ, პროცესი გაჭიანურდება, რომელსაც, შესაძლოა, ზოგიერთ რეგიონში შეიარაღებული დაპირისპირებაც მოყვეს, — აცხადებენ ექსპერტები. რამდენად გამართლდება მათი პროგნოზი, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ საამისო პირობები საკმარისზე მეტია, რომელთაც თითქმის ყოველდღიურად ვხედავთ, სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ვითარების დაძაბვას პოლიტიკოსების ნაწილიც უწყობს ხელს.

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თითქმის უკვე ათი თვეა, შეუდგა მუშაობას, მას თავიდანვე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ ტრამპის საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილოთა რიცხვი ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა. ირანთან ბირთვული თანამშრომლობის შეჩერების შესახებ განცხადებამ მსოფლიო პოლიტიკოსების გაოცება გამოიწვია. 2011 წელს გაეროს მიერ ირანის დაყოლიება, შეეჩერებინა ბირთვულ იარაღზე მუშაობა, მსოფლიო საზოგადოებამ დიდ მირწევად შეაფასა და შვებით ამოისუნთქა. თუ რეალობად აქცევს თავის დანაქადს და შეწყვეტს ირანთან თანამშრომლობას, ფაქტობრივად, ტრამპი გაეროს ღიად დაუპირისპირდებაო, — აცხადებენ ექსპერტები.

პოლიტოოოგების მოსაზრებით, ირანის მხარეს დიდად არ ანაღვლებს ტრამპის მუქარა. ირანის პრეზიდენტმა დაუყოვნებლივ უპასუხა, რომ მისი ქვეყანა კვლავ დაიწყებს ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობას. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ირანისთვის ბირთვული იარაღის ქონა პრობლემებს ბევრ ქვეყანას შეუქმნის, მათ შორის, ევროპასაც. გასახსენებელია ის გარემოებაც, რომ 2011 წელს, როდესაც ირანელებმა გააფორმეს ხელშეკრულება, იმედოვნებდნენ, რომ მოიზიდავდნენ ინვესტიციებს, მიიღებდნენ გარკვეულ შეღავათებს აშშ-სა და ევროპის ქვეყნებიდან. თუმცა დღემდე მათი იმედები არ გამართლდა და ამან გააღიზიანა ირანელებიო, — აცხადებენ მიმომხილველები.

ამასობაში აშშ-თურქეთის დაძაბული ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. ამერიკულმა მხარემ შეაჩერა თურქი მოქალაქეებისთვის არასაემიგრაციო ვიზების გაცემა. ამის მიზეზად აშშ-ის მხარემ თავიანთი სტამბულის საკონსულოს თანამშრომლის, თუქრი მოქალაქის დაპატიმრება დაასახელა.

თუქრი სამართალდამცავები მას შარშანდელ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობას უყენებენ ბრალად. მთავარ ორგანიზატორად მიჩნეული გიულენი აშშ-ს აფარებს თავს და მის გადაცემაზე ამერიკელები უარს აცხადებენ. თურქეთის მხარემ სარკისებურად უპასუხა და აკრძალა აშშ-ის მოქალაქეებისთვის ნებისმიერი ვიზის გაცემა. რას მოუტანს რეგიონს და, საერთოდ, სამყაროს ნატოს ორი წამყვანი ქვეყნის მსგავსი დაპირისპირება, ამის თაობაზე პოლიტოლოგები ჯერ ვერაფერს ამბობენ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თურქეთში მდებარეობს ნატოს ჯარების (ფაქტობრივად, აშშ-ის) ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ბაზა, რომლის ბედიც ბუნდოვანია.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკოსები ჩრდილოეთ კორეის გააქტიურებაშიც დონალდ ტრამპს ადანაშაულებენ. პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ აშშ-ის მხარე პრიმიტიულად მოქმედებს, ხოლო ტრამპის რიტორიკას ცეცხლზე ნავთის დასხმად მიიჩნევენ. კიმ ჩინ ინის განცხადებით, ქვეყანა კვლავ გააგრძელებს ბალისტიკური რაკეტების გამოცდას და ბირთვულ იარაღზე მუშაობას. აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტის გემები კი უკვე ჩრდილოეთ კორეისკენ დაიძრნენ. ექსპერტები აცხადებენ, რომ ჩიხური სიტუაცია შეიქმნა. თუმცა იმედოვნებენ, რომ ტრამპის ადმინისტრაციაში მყოფი გენერლები გადააფიქრებინებენ საბრძოლო მოქმედებების დაწყებას. „მათ კარგად იციან, თუ როგორი ომი იქნება და რამხელა მსხვერპლი მოყვება იგივე მეზობელ ქვეყნებში იაპონიასა და სამხრეთ კორეაშიო“, აცხადებენ ექსპერტები.

ჩრდილოეთ კორეის საკითხზე საინტერესო ირტორია გაიხსენა გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა: „...2001 წელს იაპონიაში მივფრინავდი. გზად ჩრდილოეთ კორეას ვესტუმრე. ქვეყნის დღევანდელი მმართველის მამამ, კიმ ჩინ ირმა მაშინ მითხრა, რომ ატომური იარაღი ჰქონდათ. დღეს იქამდე მივიდა საქმე, რომ ახლა წყალბადის ბომბიც შექმნეს...“ ვერაფერს იტყვი ადამიანი, მართლაც საყურადღებო ისტორიაა.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ დონალდ ტრამპმა ამერიკელი დიპლომატები დაამცირა, როდესაც განაცხადა, 25 წელი

არაფერს აკეთებდნენ, უსაქმოდ იყვნენო. ამასთან, აღნიშნავენ იმ ფაქტსაც, რომ მან სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონიც გაანაწყენა. ჩინეთში ამერიკის პირველ დიპლომატს მოლაპარაკება ჩრდილოეთ კორეის საკითხზეც ჰქონდა. ამის შესახებ ტრამპმა განაცხადა, რომ ტყუილად კარგავს დროსო.

გასულ კვირას ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური მოვლენა საუდის არაბეთის მეფის სალმან იბნ აბდულ-აზიზ ალ საუდის მოსკოვში ოფიციალური ვიზიტი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ ეს საუდის არაბეთის მონარქის პირველი ვიზიტი გახლდათ ისტორიაში და პირველი პირისპირ საუბარი რუსეთის პრეზიდენტთან. ვიზიტს ორივე მხარე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საუდის არაბეთის დელეგაციის შემდაგენლობაში ათასზე მეტი წევრი იყო.

აეროპორტში არაბეთის დელეგაციას პროტოკოლით ვიცე-პრემიერი როგოზინი დახვდა, რომელიც სამხედრო საკითხებს კურირებს თავის ქვეყანაში. არაბეთის მონარქს კრემლში მართლაც პომპეზური დახვედრა მოუწყეს და ზეიმით მიიღეს. მონარქის პუტინთან პირისპირ საუბარი ე.წ. „მწვანე დარბაზში“ გაიმართა. დარბაზი მწვანე ფერებით არის გაწყობილი და ეხამებოდა საუდის არაბეთის დროშის ფერს. მონარქი მიღებით აშკარად კმაყოფილი ჩანდა. „ბედნიერი ვარ მეგობარ ქვეყანაში ყოფნითო“, — განაცხადა მან.

გაფორმებული ხელშეკრულებები შთამბეჭდავია. მოლაპარაკების დეტალები ტრადიციულად სიდუმლოდ რჩება. ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი საკითხი ნავთობის თემა გახლდათ. შეთანხმდნენ ერთობლივ მოპოვებაზე, ასევე ნავთობის ფასის სტაბილიზირებაზე. ამასთან, არაბული მხარე დაინტერესებულია ატომური ენერგიით. შეთანხმდნენ, რომ რუსეთი არაბეთს გაუზრდის ხორბლის მიწოდებას. ორ ქვეყანას შორის დააფუძნეს ენერგეტიკის საინვესტიციო ფონდი ერთმილიარდიანი ბიუჯეტით.

როგორც გაირკვა, საუდის არაბეთის მხარე იარაღის შეძენითაც იყო დაინტერესებული. გადაწყდა, რომ „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატებს უკვე არაბეთში დაამზადებენ. არაბებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ჰაერ- და ტანკსაწინააღმდეგო დანადგარები, ტანკები, საფრენი აპარატები. რამდენადაც გახდა ცნობილი, გაფორმდა 15-ზე მეტი მრავალმილიარდიანი კონტრაქტი.

საუდის არაბეთის მონარქის ვიზიტმა რუსეთში გააოცა მსოფლიო საზოგადოება, ხოლო აშშ-ი კი შეაშფოთა. შეგახსენებთ, რომ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის მოკავშირე ქვეყანად ისრაელთან ერთად საუდის არაბეთიც განიხილება. სწორედ ამის გამო განახორციელა თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტი დონალდ ტრამპმა ამ ქვეყნებში. საუდის არაბეთთან საკმაოდ სოლიდური ხელშეკრულებებიც გაფორმა. ახლა კი მოკავშირე ქვეყნის ლიდერი ფაქტობრივად მოწინააღმდეგე ქვეყანას სტუმრობს და მილიარდებიან კონტრაქტებს აფორმებს. ამიტმაც აცხადებენ დასავლელი მიმომხილველები, რომ აშშ-მა მსოფლიოში პოზიციები დათმოო. ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ პუტინს „ახლო აღმოსავლეთის პატრონი“ უწოდა...

კატალონიაში ჩატარებულმა რეფერენდუმმა ესპანეთი და ევროპა საგონებელში ჩააგდო. გასულ კვირას მადრიდსა და ბარსელონაში გაიმართა ესპანეთის ერთიანობის მხარდამჭერი მიტინგები. მოსახლეობა ხელისუფლებას დიალოგისკენ მოუწოდებს. მოლაპარაკების წინააღმდეგი არც კატალონიის ლიდერები არიან. თუმცა პრემიერი რახოი რადიკალურად არის განწყობილი. იგი არ გამორიცხავს კატალონიის ავტონომიის გაუქმებას და იქაური პარლამენტის იძულებით დათხოვნას. ექსპერტების აზრით, ასეთმა დამოკიდებულებამ, შესაძლოა, კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება. მოსახლეობის განწყობიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, მას თანამდებობის დატოვებაც მოუხდეს. მართალია, კატალონიის დამოუკიდებლობის და ესპანეთის ერთიანობის მომხრეები ერთმანეთს ჯერ არ უპირისპირდებიან (მოვლენების ასეთ განვითარებას გამორიცხავენ კიდეც), ახლა გადამწყვეტი სიტყვა ხელისუფლებამ უნდა თქვას. სწორედ ამ დღეებში გავიგებთ, რომელ გზას აირჩევს ესპანეთის ხელისუფლება — დიალოგის თუ კონფრონტაციის.

გია ბურდული
551 71 27 07

ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება აბსოლუტურად კომერციული ბანკების დიქტატის ქვეშ აღმოვჩნდეთ

ბანკები მსხვილ მევახშეებს დაემსგავსნენ. ეს არის ნაღმი, რომელიც აუცილებლად აფეთქდება

გვესაუბრება ინვესტიციებისა და კაპიტალის მართვის ექსპერტი **ვახტანგ ხომიზურაშვილი**:

— ბატონო ვახტანგ, აგვისტოს მეორე ნახევარში მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული სეზონი იყო და ქვეყანაში უცხოური ვალუტა შემოდიოდა, ლარმა მკვეთრი გაუფასურება დაიწყო. ეს პროცესი დღემდე გრძელდება. რით ახსნით ყოველივეს?

— ამან შეიძლება საკმაოდ რთულ სიტუაციამდე მიგვიყვანოს. „ეროვნულ ბანკს“ სავალუტო ბაზარზე, წესით, ცოტა აქტიური ჩარევა უნდა განეხორციელებინა, რათა ლარი არ გაუფასურებულიყო. „ეროვნულ ბანკს“ მერე გაუჭირდება ლარის კურსის კონტროლი იქედან გამომდინარე, რომ ასეთი ზედმეტი ზეწოლა ლარზე, წარმოქმნილი მოლოდინების ფონზე, სავალუტო ბაზარზე შექმნილ მდგომარეობას ყოველთვის ართულებს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მიმდინარეობს ლარიზაციის პროგრამა, სესხები ლარში გაიცემა. ანუ, წესით ლარზე მოთხოვნა მატულობს, მაგრამ კურსის ცვლილება, ამ კუთხითაც, აბსოლუტურად, საპირისპიროდ მოხდა.

საერთოდ, კურსის ცვლილებას, ლარის გაუფასურების თვალსაზრისით, შეიძლება რამოდენიმე ობიექტური მიზეზი ჰქონდეს. ერთი — „ეროვნული ბანკის“ მხრიდან ლარის ფულადი მასის გაზრდა, რაც მდგომარეობს შემდეგში — „ეროვნული ბანკი“, ამ შემთხვევაში, რეფინანსირების სესხებს გასცემს უფრო მზარდი მოცულობით, რაც რეალურად არ მომხდარა. მეორე მიზეზი შეიძლება ასეთი იყოს — დოლარზე მოთხოვნა ბუნებრივად ხდება იქედან გამომდინარე, რომ იმპორტზე ორიენტირებული კომპანიები თავის საქმიანობას ააქტიურებენ და იგივე, საიმპორტო შესყიდვების მოცულობებს ზრდიან, რაც ასევე, არ მომხდარა. არსებობს სხვა წინაპირობებიც — ის, რომ ქვეყანას საგარეო ვალების გადახდა და ამისთვის დოლარი სჭირდება. ამ შემთხვევაში, ხდება დოლარის აკუმულირება, მაგრამ ესეც, არ მომხდარა. აქედან გამომდინარე, ისევ და ისევ ერთი მიზეზი გვრჩება — არასრულყოფილი კურსის ფორმირების სისტემა, რაც დღეს „ეროვნულ ბანკში“ ფუნქციონირებს და მეორე, ბანკების სპეკულაციური ოპერაციები, რაც შესაბამისი სარგებლის მიღების მიზნით, სწორედ, ლარის გაუფასურებისკენ იყო მიმართული.

— „ეროვნულ ბანკს“ ახალი რეგულაციები შემოაქვს, ერთ-ერთი ლარზე საპროცენტო განაკვეთის გაზრდაა. როგორ შეაფასებთ ამ მიდგომას?

— ჩნდება კითხვა — რისი მეშვეობით ზრდის საპროცენტო განაკვეთს? — ალბათ, ეს ეხება დეპოზიტების დაზღვევას, რაც თავისთავად საპროცენტო განაკვეთებზე იმოქმედებს. ანუ, რეალური საპროცენტო განაკვეთები დაიწევს დეპოზიტებზე და შესაბამისად, გაიზრდება სესხებზე. ეს ბუნებრივიცაა იმიტომ, რომ როდესაც კომერციული ბანკები ამ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში გარკვეულ თანხას იხდიან, ისინი ამ სხვაობას ყოველთვის ამოიღებენ მეანაბრეების, მსესხებლების მეშვეობით. ამ შემთხვევაში, ბანკის ხარჯი დეპოზიტების ან მსესხებლის ხარჯზე გადადის. აქედან გამომდინარე, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა თითიდან გამოწოვილი ინიციატივაა, რომელიც არავის სჭირდება და პრიორიტეტულიც არ არის. ანუ, აქ, სულ სხვა პრიორიტეტული საკითხებია, რაც უმალ უნდა გადაწყდეს. ის, რომ „ეროვნულმა ბანკმა“ შემოიტანა რეგულაციები იგივე მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებთან მიმართებაში, თანხების მოზიდვის თვალსაზრისით, დაუწესა ლიმიტები, ანუ, მხოლოდ 100 ათასის ფარგლებში შეიძლება იყოს თანხები მოზიდული და არა წვრილი მეანაბრეებისგან ან ინვესტორებისგან, რაც, პრაქტიკულად, მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებს აეკრძალათ. ვთვლი, რომ ეს არ არის აბსოლუტურად ეფექტიანი. მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებს, ამ შემთხვევაში, საკმაოდ გაუჭირდებათ თანხების მოზიდვა იმისათვის, რომ თავიანთი საქმიანობა განახორციელონ. ეს ნიშნავს, რომ ბანკები, ნელ-ნელა, მიკრო-საფინანსო ორგანიზაციების ბაზრის სეგმენტს დაიკავებენ, რითაც საბანკო სისტემა კიდევ უფრო გაიბერება, რაც მიზანშეწონილი არ არის და ყოველგვარი თავისუფალი კონკურენციის პრინციპებს არღვევს. რაც შეეხება თვითონ თანხების მოზიდვის თემას, მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებს მხოლოდ ერთი გზა დარჩათ — თანხები ფასიანი ქაღალდების გამოშვების მეშვეობით მოიზიდონ, იქნება ეს ობლიგაციები თუ აქციები. ესეც, გარკვეულწილად, ამ ორგანიზაციებისთვის საპრობლემოა იმდენად რამდენადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჩვენთან განუვითარებელია, საფონდო ბირჟა ორიენტირებულია მხოლოდდამხოლოდ მსხვილ დივიდენდებზე და არა საშუალო დონის კომპანიებზე. დაახლოებით, ასეთი სიტუაციაა დღეს საფინანსო ბაზარზე და თუ სისტემის რეფორმირება დროულად არ მოხდება, საბოლოო ჯამში, შეიძლება აბსოლუტურად კომერციული ბანკების დიქტატის ქვეშ აღმოვჩნდეთ როგორც საპროცენტო განაკვეთების თვალსაზრისით, ისე დაბანდების კუთხით, რაც ძალიან ნეგატიურია ჩვენი ეკონომიკისთვის.

— ახლა, მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები ახსენეთ. კომერციულ ბანკებს, ძირითადად, „ეროვნული ბანკი“ ზედამხედველობს, მაგრამ არსებობს უამრავი მიკრო-საფინანსო, საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც არავისგან კონტროლდება. არ არსებობს საკანონმდებლო რეგულაცია, რათა „ეროვნულმა ბანკმა“ მათ პასუხი მოსთხოვოს.

— დიახ, თავისთავად, ასეა. „ეროვნულმა ბანკმა“ შეზღუდა საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, გარკვეულწილად, დაკრედიტრებასთან დაკავშირებით, რაღაც რეგულაციები შეიტანა, რაც პოზიტიურია, მაგრამ არა საკმარისი. „ეროვნულმა ბანკმა“ უშუალოდ უნდა დაარეგულიროს ნებისმიერი კომპანიის საკრედიტო საქმიანობა. ანუ, ამ საქმიანობაზე ლიცენზია უნდა გაიცეს, საკრედიტო საქმიანობა მკაცრად რეგულირებადი უნდა იყოს.

რაც შეეხება კიდევ ერთ მიმართულებას — ეს არის საფინანსო ბაზრებზე არსებული ე.წ. ფორექს კომპანიები, რომლებიც გვთავაზობენ ანგარიშის გახსნას და ა.შ. მათი რამოდენიმე წარმომადგენლობა საქართველოშიც არის, რომლებიც ადამიანებს სთავაზობენ ანგარიშის გახსნას და ვაჭრობას უცხოეთის საფინანსო ბაზარზე და სხვადასხვა ბირჟაზე. „ფორექსი“ ეს არის საერთაშორისო სავალუტო ბაზარი. ამ საკითხის დარეგულირებაც, მე თუ მკითხავთ, „ეროვნულ ბანკს“ ეხება. მან ეს მიმართულება უნდა არეგულიროს იმიტომ, რომ ბევრი ადამიანი, რომელიც ხსნის ანგარიშს და ვაჭრობს, გათვითცნობიერებული არ არის რამდენად სარისკოა იქ

ვაჭრობა და ამიტომ, მათი დიდი ნაწილი თანხებს კარგავს.

— რატომ არის ეს საკითხები საკანონმდებლო რეგულაციის გარეშე, ეს მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები რომელიმე ბანკის გაგრძელება ხომ არ არის?

— ბუნებრივია, აქ ინტერესთა კონფლიქტია. საკრედიტო ბაზარი ბანკებისა და მიკრო-საფინანსოების ინტერესთა გადაკვეთაა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ეროვნული ბანკი“, ამ შემთხვევაში, კომერციულ ბანკებს ლობირებს. ეს არ არის სწორი და ასე არც უნდა იყოს. „ეროვნული ბანკი“ არის მარეგულირებელი არა მხოლოდ საბანკო სისტემით, არამედ საფინანსოთიც. არ შეიძლება „ეროვნული ბანკი“ სირაქლემას პოზიციაში იყოს.

— ბატონო ვახტანგ, როგორ რეგულირდება ევროპის სახელმწიფოებში სესხის გაცემაზე პროცენტი. როგორც ვიცი, იქ, ეს 7–8%-ს არ სცდება. ეს ბანკების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული თუ კანონი არეგულირებს?

— ეს, ჩვეულებრივი, თავისუფალი კონკურენტული პრინციპის შედეგია. ანუ, იქ, საბანკო სისტემა მონოპოლიზირებული არ არის. ჩვენთან, საბანკო სისტემაში ე.წ. ოლიგოპოლიაა, ანუ, მთლიანად აქტივების 80%-ს მხოლოდ რამოდენიმე ბანკი ფლობს, პლუს ამას ემატება არაპროფილური აქტივები. რეალურად, ამ საბანკო ოლიგოპოლიაში შესვლა და მოქმედება ძალიან რთულია. თუ გახსოვთ, საქართველოში, რამოდენიმე უცხოური ბანკი იყო შემოსული, მათ შორის, ფრანგული ბანკი. მათ, საბოლოო ჯამში, თავიანთი წარმომადგენლობები დახურეს, წილები გაყიდეს და წავიდნენ. უცხოეთში ასე არ ხდება. იქ, ძალიან ბევრი ბანკია, სადაც თავისუფალი კონკურენციაა, ცენტრალური მარეგულირებელი ორგანო არც კი უშვებს იმას, რომ ბანკების ოლიგოპოლია ჩამოყალიბდეს.

— კომერციულ ბანკებს წელს ორჯერ მეტი მოგება ჰქონდათ, ვიდრე წინა წელს. ეს, ალბათ, იმითაც არის განპირობებული რომ ყველაფერი მათ ხელშია: საწარმოები, ბინები, ანუ სხვა პროფილურ საქმიანობებს ეწევიან...

— ეს მკაცრად უნდა იყოს აკრძალული, მათ შორის, ბანკების ჰოლდინგები, მათთან ასოცირებული კომპანიები და პირები, მსხვილი აქციონერები. ეს დაუშვებელია. ბანკი მხოლოდ საბანკო საქმიანობას უნდა ახორციელებდეს. მეორეც, ბანკების შემოსავლებს თუ გადახედავთ, ეს სამომხმარებლო სესხებიდან შემოსული თანხებია — ჯარიმები. წარმოიდგინეთ, ბანკებმა ჯარიმებიდან უფრო მეტი აიღეს, ვიდრე იგივე საკრედიტო პროცენტიდან, რაც არანორმალურია. რეალურად, ბანკები ბიზნესის განვითარებას არ აფინანსებენ იმიტომ, რომ ბიზნესი ჩვენთან ვერ ვითარდება. გამოდის, რომ ბანკები, საბოლოო ჯამში, მსხვილ მევახშეებს დაემსგავსნენ, რომლებიც, მონოპოლიური მდგომარეობიდან გამომდინარე, შექმნილი სიტუაციით სარგებლობენ, რაც პირდაპირ მოსახლეობას ურტყამს. ეს ფული მიდის იგივე, არაპროფილურ აქტივებში. შედეგად, ბიზნესის დაფინანსება არ იზრდება, არამედ იზრდება მათი საკუთრების მოცულობა და გავლენა რეალურად ეკონომიკაზე.

— ბოლოს, მცურავ კურსზეც მინდა გკითხოთ...

— კურს ბლუმბერგი აყალიბებს. რეალურად, ეს მეთოდი არ არის ჩვენი ქვეყნისთვის მისაღები — სადაც პატარა ეკონომიკა, პატარა სავალუტო ბაზარია, იგი დამაზიანებელია. ეს მეთოდი შეიძლება კარგად მუშაობდეს ინგლისის ან საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე. ჩვენ, კურსის ფორმირების, აბსოლუტურად, განსხვავებული მეთოდი უნდა გამოვიყენოთ, რომელიც თავის დროზე ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მუშაობდა და სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკონემდაციების საფუძველზე იყო გამოყენებული. ახლა, რა კურსიც არის, ეს სპეკულაციების, კურსის ცვლილების ისეთ საშუალებას იძლევა, რაც ბანკებს აწყობთ. ვიმეორებ, ეს არის ნაღმი, რომელიც შეიძლება ნებისმიერ დროს აფეთქდეს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ნონა ჩალაძე:

კანცელარიის არქივი მიხეილ სააკაშვილმა გადაწვა?

პატიაშვილის დროიდან მოყოლებული სააკაშვილის მოსვლამდე 18 წელიწადი ოპერატორად ვიმუშავე სახელმწიფო კანცელარიაში. ყველა საბუთსა და დოკუმენტს ჩემს ხელში გაუვლია. ყველა თანამშეომელი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდით ჩვენს საქმეს. მაგრამ მოვიდა სააკაშვილი და ყველაფერი თავდაყირა დადგა.

ერთ დღეს ვზივარ ჩემს ოთახში მე-9 სართულზე და ვმუშაობ. უცებ ატყდა ფაციფუცი. არქივს ახსენებდნენ. არქივის უფროსი ჩემი მეგობარი იყო, ქალბატონი კლარა კაჭარავა. არაჩვეულებრივი ადამიანი, შესანიშნავი სპეციალისტი. თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე. შუაღამისასაც რომ დაერეკათ კლარასთვის, ის ზეპირად ეუბნებოდა ხოლმე, რომელ თაროზე, რომელ საქაღალდეში მერამდენე ფურცელზე შეიძლებოდა ეპოვათ საჭირო დოკუმენტი. მაშინვე გავიქეცი არქივისკენ. ჩავედი, ქალბატონი კლარა მაშინ ასაკოვანი იყო და ვიფიქრე, ცუდად ხომ არ გახდა-მეთქი, ისედაც ავადმყოფობდა, ფეხი სტკიოდა, მაგრამ რაც იქ ვნახე, დღემდე ჩემი თვალებიდან არ იშლება. ქალბატონ კლარას მკლავები ჩალურჯებული ჰქონდა. სააკაშვილის დამქაშები მომვარდნენო, უნიკალური საარქივო მასალები ჩაყარეს პოლიეთილენის პარკებში და წაიღეს ყველაფერი, მჟავანაძიდან მოყოლებული და სახელმწიფო კანცელარიის სახურავზე აიტანესო. სახურავზე იმყოფებოდა თურმე მიშა, ხელში ასანთი ეჭირა და წვავდა დოკუმენტებს. იმ დღეს მთელი არქივი დაწვეს. ასე განადგურდა საქართველოს უახლესი ისტორია. ასეთი რამ მსოფლიოში არავის სმენია და არც არავის გაუკეთებია.

— ქალბატონო ნონა, რით შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ დოკუმენტები, რომლებიც, როგორც ამბობთ, დაწვეს, სწორედ ისტორიული დოკუმენტაცია იყო და არა უმნიშვნელო მაკულატურა?

— შეუძლებელია, ის საშინელება ვინმეს არ გადაეღო. დაკითხონ ბოკერია, ბარამიძე და სხვები. მოიძიონ თუნდაც 9 აპრილის მასალები. არქივში დღეს ვერაფერს იპოვიან.

ამის მოწმეა კანცელარიის სიახლოვეს მაცხოვრებელი ხალხი, რომლებიც თავიანთი თვალით ხედავდნენ, როგორ ენთო კოცონი, როგორ ტრიალებდა სახურავზე მიშა და როგორ უკრავდნენ ტაშს უგულავა, ბოკერია და სხვები და ყრიდნენ დოკუმენტებს ძირს.

— ამ ამბის შემდეგ კიდევ რამდენი ხანი იმუშავეთ. გაგათავისუფლეს?

— მოვიდა თუ არა სააკაშვილი, რამდენიმე კვირაში დავწერე განცხადება და წამოვედი სამსახურიდან.

ამ ამბის შემდეგ ქალბატონ კლარა კაჭარავასაც დიდხანს აღარ უცოცხლია.

მე თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ვარ და გადავწყვიტე, ეს ამბავი საზოგადოებისთვის სწორედ თქვენი გაზეთის საშუალებით შემეტყობინებინა. რამდენიმე ტელევიზიას მივმართე, ვესაუბრე კიდეც, მაგრამ არავინ გააშუქა, არც ერთმა ტელევიზიამ.

ჩამოათრიონ სააკაშვილი და აგოს ყველაფერზე პასუხი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო იმ ისტორიული არქივის განადგურებისთვის ეკუთვნით მიშას და ნაციონალებს სასტიკი სასჯელი.

დაინტერესდეს ამ საქმით პროკურატურა. დამკითხონ მე. ბევრი რამის მომსწრე ვარ და ბევრი რამე ვიცი. ბოლო-ბოლო, შეამოწმოს ვინმემ სახელმწიფო კანცელარიის არქივი. არის თუ არა იქ მჟავანაძიდან მოყოლებული 2003 წლამდე საარქივო მასალები და უნიკალური ფოტოები.

— ხომ არ იცით, კლარა კაჭარავამ რატომ არ ატეხა ამაზე განგაში თავის დროზე?

— ქალბატონ კლარას ჯერ ფული შესთავაზეს გაჩუმების

სანაცვლოდ, მერე დაემუქრნენ. როგორც გითხარით, ისედაც ავად იყო ქალი, ვერ გაუძლო ამდენ წნეხსა და ნერვიულობას და გარდაიცვალა.

კი, მაგრამ, თქვენი მიკვირს. სააკაშვილისგან და მისი დამქაშებისგან სხვა რა არის მოსალოდნელი, როცა არათუ არქივს, მთელ ქვეყანას ცეცხლში წვავენ.

რამდენიმე ხნის წინ ხანძარი რომ გაჩნდა „ბავშვთა სამყაროში“, საქმე მქონდა ვაგზლის ტერიტორიაზე და მივედი იქაც. დაზარალებულები აპროტესტებდნენ — მთავრობამ ყურადღება არ მოგვაქციაო. მივუახლოვდი მეც აქციას. გავესაუბრე ხალხს. ერთი ქალი ჩუმად მეუბნება: ჩვენი ხარ? თქვენი ვარ, აბა, ვისი ვარ-მეთქი, გამეცინა. რაიმეს იმედი გაქვთ-მეთქი? ამ მთავრობის იმედი ჩემს მტერს ჰქონდეს, მიშა ჩამოვა და ყველაფერი მოგვარდებაო.

ცეცხლით, ქვების სროლით და ყაჩაღობით მოვიდნენ ხელისუფლებაში ნაციონალები. ახლაც იგივე გზით აპირებენ დაბრუნებას. სათანადო ორგანოებმა გამოიძიონ მათ მიერ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულებები. ამას მოვითხოვ მე, ამას მოითხოვს ხალხი, პატივცემულო მთავრობავ, მოუსმინეთ ხალხს!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

სამსონ სამჭკუაშვილის ბლოგი

„რუსთავი-2“

„რუსთავი-2“-დან „იმედზე“ რომ გადართავ და იქაც „რუსთავი-2“ რომ დაგხვდება, ხომ შეიძლება ჭკუიდან შეირყე?

აქამდე ერთი „რუსთავი-2“ გვქონდა, ახლა ორი გვაქვს...

დაწყებული დუტა სხირტლაძით და დამთავრებული დიმიტრი ობოლაძით, თითქმის მთელი „რუსთავი-2“ „იმედში“ გადაბარგდა.

ერთი ნიკა გვარამიაღა აკლიათ და, ალბათ, ისიც მალე მიჰყვება ყოფილ თანაგუნდელებს.

პროექტი „ნიჭიერიც“ „იმედს“ წაუღია და „ნიჭიერის“ მთელი „სასტავიც“ თან მიუყოლებია.

ამბობენ, ნანუკა ჟორჟოლიანიც „იმედზე“ აპირებს თავისი შოუს გადატანასო.

იმასაც ამბობენ, აქტიური მუშაობა მიდის გიორგი გაბუნიაას გადმოსაბირებლად და თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ეგეც „იმედში“ ამოყოფს თავსო.

მოკლედ რომ ვთქვათ, „რუსთავი-2“-შიც იგივე ამბები ხდება, რაც „ნაცმოძრაობაში“ – „რუსთავი-2“-იც, „ნაცმოძრაობასავით“, გაიშალა და წვრილ-წვრილი ნაკადულებივით შეუერთდა „დედამდინარეს“ რომელსაც სახელად „იმედი“ ჰქვია.

„იმედის“ ხელმძღვანელობას თუ ჰგონია, რომ „რუსთავი-2“-ის „იმედში“ „გადაკატავებით“ მაყურებელი მოემატება, ძალიან ცდება.

„რუსთავი-2“-ის სახეები, რომლებსაც „იმედი“ ასე არის დახარბებული, იმდენად არის გაიგივებული „ნაცმოძრაობასთან“ და მის შავ-ბნელ საქმიანობასთან, რომ მათი დანახვა ქართველ მაყურებელთა დიდ ნაწილს სულაც არ უხარია.

გაითვალისწინეთ ეს, „იმედის“ მესვეურებო და სანამ ამ გაცვეთილი და დაშტამპული სახეების მოსაზიდად ფულის ფანტვას დაიწყებდეთ, ცოტა ჭკუასაც მოუხმეთ.

მე, სამსონ სამჭკუაშვილი გარწმუნებთ: ჭკუა საჭირო რამ არის და თუ ჭკუით არ იმოქმედებთ, „იმედის“ ნაცვლად ათას კამერაზე გადამხტარი „რუსთავი-2“ შეგრჩებათ ხელთ...

სამნი ერთ საწოლში

სამჭკუაშვილი კი ვარ, მაგრამ ჩემი სამჭკუშვილობაც არ ეყო იმ ურთულესი ფორმულის ამოხსნას, რასაც „საქართველო-ნატო-რუსეთი“ ჰქვია.

საიდან არ მივუდექი, საიდან არ შემოვუარე, მაგრამ, არაფერი გამომივიდა – ვერა და ვერ გავაცნობიერე, როგორ და რანაირად უნდა მოხდეს ამ პროექტის რეალობაში განხორციელება.

არადა, ალბათ, რაღაც დიდი და ჩვენთვის, რიგირთი სამჭკუაშვილებისთვის, მიუწვდომელი და ამოუხსნელი რამ უდევს ამ პროექტს საფუძვლად, თორემ ამდენი ადამიანი ტყუილად ხომ არ ივლიდა მოსკოვში.

პროექტის ავტორები ცოცხალი თავით არ გვიმხელენ, რა ჩანაფიქრი აქვთ, რა გეგმა აქვთ და კონკრეტულად რას სთავაზობენ ან ნატოს, ან რუსეთს ან საქართველოს ან სამივეს ერთად?

ერთადერთი, რაც ვიცით, ის არის, რომ პროექტის მიზანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

მიზანი კეთილშობილური და კარგია, მაგრამ როგორ

მოხერხდება ამ კარგი მიზნის ხორცშესხმა, გასაიდუმლოებულია.

რა უნდა უთხრან ადა მარშანიამ და ნატო ჩხეიძემ ისეთი ნატოს და რუსეთს, რომ ეს ორი ერთმანეთს ღიად დაპირისპირებული ძალა ერთ მაგიდასთან დასვან და ისეთი გადაწყვეტილება მიაღებინონ, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტია იქნება.

ნატოს და რუსეთს დიამეტრალურად განსხვავებული, ერთმანეთის დაპირისპირებული ინტერესები აქვთ საქართველოში, ინტერესები, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვის.

ისეთს რას ვთავაზობთ ჩვენ ან ერთს ან მეორეს, რომ ამ ინტერესებზე უარი თქვან?

– მოდით, თქვენ შეთანხმდით ერთმანეთში და აფხაზეთი და სამაჩაბლო დაგვიბრუნეთ, თქვენ კიდევ ორივე იყავით აქ, კეთილი გულით ყველანი დავეტევით.

ხომ გაგიგონიათ, მოყვარული ცოლ-ქმარი თოხის ტარზე დაეტიაო. ჰოდა, ჩვენც დავეტევით, რა პრობლემაა? – ამის თქმას ხომ არ აპირებენ სასიყვარულო პოლიტიკური სამკუთხედის „საქართველო-ნატო-რუსეთის“ კონსტრუქტორები?

ისიც საკითხავია, ერთ პოლიტიკურ სარეცელში როგორ მოვრიგდებით სამნი – მარჯვნივ ნატო, მარცხნივ – რუსეთი, ჩვენ კი შუაში?

ასეთ მდგომარეობაში შუაში მწოლს, ხომ იცით, ყველაზე მეტი ჯაფა ადგება...

გავუძლებთ კი ჩვენ ამდენ ჭანჭყარს და მიწოლ-მოწოლას?

ემანდ არ გაგვჭყლიტონ და არ გაგვსრისონ ამ დალოცვილებმა?

მოკლედ, ათას რამეზე ვფიქრობ, ათასნაირ ვერსიას ვატრიალებ, მაგრამ მაინც ვერ მოვუძებნე გასაღები ამ ცხრაკლიტულით ჩაკეტილ რებუსს, „საქართველო-ნატო-რუსეთი“ რომ ჰქვია.

რა ვქნა, რა ჩემი ბრალია – მართლა ღმერთი რომ არ ვარ, ასეთ რთულ საკითხებში გავერკვიე – ერთი საწყალი სამჭკუშვილი ვარ...

რა მსგავსებაა ნიკანორ მელიასა და გია ხუხაშვილს შორის?

– ბანდიტი და ყაჩაღია ეს კეზერაშვილიო, – თქვა მელიამ, ოღონდ, თქვა მას შემდეგ, რაც კეზერაშვილმა „ნაცებს“ დაფინანსება შეუწყვიტა და, როგორც ამბობენ, „ევროპული საქართველოს“ ყულაბისკენ მიმართა თავისი მილიონები.

– ბანდიტი და ყაჩაღია ეგ

კეზერაშვილიო, – თქვა ხუხაშვილმაც, ოღონდ თქვა მას შემდეგ, რაც კეზერაშვილმა თავისი უძრავ-მოძრავი ნადავლი სარფიანად გაყიდა და საქართველო დატოვა.

მხოლოდ ამის შემდეგ გაახსენდა ხუხაშვილს, რომელიც კეზერაშვილის კუთვნილ „პიქსელის“ შენობაში იჯდა და ქართულ ეკონომიკაში „პალაჟენიას“ ალაგებდა, ვინ იყო კეზერაშვილი.

მხოლოდ მას შემდეგ მოხსნა ხუხაშვილმა გუდას თავი, რაც კეზერაშვილის თვითმფრინავი ისრაელის მიწაზე მშვიდობიანად დაეშვა და უკვე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას იტყოდა მასზე „მხილების“ ხასიათზე მოსული ხუხაშვილი.

ნიკანორ მელიამაც „არაფერი იცოდა“ კეზერაშვილის ავკაცობის შესახებ, სანამ კეზერაშვილი ნაცების მთავარი კასირი იყო და მელიასაც ერგებოდა ხოლმე თავისი მოკრძალებული მელური წილი საერთო „ობშჩიაკიდან“.

კიდევ რაში ჰგვანან ისინი ერთმანეთს?

რაში ჰგვანან და იმაში, რომ არც მელიას და არც ხუხაშვილს კრინტი არ დაუძრავთ, როგორ მოახერხა კეზერაშვილმა მშვიდად და წყნარად გაეყიდა თავისი ნაბანდიტარნაყაჩაღარი ქონება და ვინ იყო ის გულუბრყვილო და მიამიტი მყიდველი, ვინც გაბედა და ეს ქონება შეიძინა.

არ იცოდე და ისე რომ შეიძინო თუნდაც მცირე ღისებულების რაიმე ნივთი, ვთქვათ, მოპარული მობილური ტელეფონი, შეიძლება დიდ შარში გაეხვიო და ციხეშიც კი ამოჰყო თავი.

ვინც კეზერაშვილის ქონება შეიძინა, იმას არ შეიძლება არ სცოდნოდა, რა გზით და რა მეთოდებით დააგროვა კეზერამ მილიონებად ღირებული ქონება, მაგრამ მაინც წარბი არ შეუხრია, ისე იყიდა და გადაიფორმა ყველაფერი.

ხუხაშვილს რომ ჰკითხო, კეზერაშვილის ნაბანდიტარი ქონების მყიდველი კეთილსინდისიერი მყიდველია.

მელიას რომ ჰკითხო, ისიც იგივეს გეტყვის.

ამიტომაც ვამბობთ, რომ გვარ-სახელით და პოლიტიკური წარმომავლობით განსხვავებული ეს ორი პატივცემული გვამი სინამდვილეში ძალიან ჰგვანან ერთმანეთს და ორივენი ერთი პოლიტიკური საშოდან არიან გამოხუხებულ-გამომელიებულნი.

უახლოვდება თუ არა კაცობრიობას უკანასკნელი ჟამი?

ამერიკის შეერთებული შტატების ერთმა სენატორმა ასეთი აზრი გამოთქვა: „ცივი ომი წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ, მსოფლიო კიდევ უფრო ხელსაყრელ გარემოდ იქცა ეთნიკური, ტომობრივი და რელიგიური სიძულვილისა და სისასტიკის გამოსავლენად... იმდენად გავაუფასურეთ ზნეობრივი ნორმები, რომ მრავალ ახალგაზრდას თავგზა აებნა, გული გაუტყდა და სერიოზული პრობლემები შეექმნა. შედეგი სახეზეა უპატრონო ბავშვების მომრავლება, განქორწინებები, ბავშვებზე ძალადობა, მოზარდთა ორსულობა, გაუნათლებლობა, ნარკომანია და ქუჩის დამნაშავეობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თითქოს ჩვენი სახლი ძლიერ მიწისძვრას ცივ ომს გადაურჩა და ახლა მას ტერმიტები ანადგურებენ. ძველი და ახალი თაობის წინასწარმეტყველების ვარაუდით,.ახლოვდება უმძიმესი ჟამი, რადგან დედამიწაზე რწმენა შემცირდა. სიღატაკით გათანგული ადამიანები საჭმლისა და ტანისამოსის გამო სულებს გაჰყიდიან. მსოფლიო გაბოროტდება, გაქრება სიყვარული და ქველმოქმედება კაცთა შორის. მღვდლები და საერონი ერთურთს დაემსგავსებიან და არავინ იქნება მორწმუნეთა დამრიგებელი და დამმოძღვრელი. მორწმუნენი ვერ იპოვიან ვერც მწყემსს, ვერც მაცხოვნებელ გზას. ქვეყნიერებას ფული და გამდიდრების ხარბი წყურვილი დაეპატრონება. წმიდა მამები ჯერ კიდევ როდის აფრთხილებდნენ კაცობრიობას მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ- „ერი ერის წინააღმდეგ აღსდგება“ (მათე 24:7). შესრულება – XX საუკუნის დასაწყისში მრავალი ფიქრობდა, რომ მსოფლიოში არსებულ მშვიდობას ვერაფერი დაარღვევდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყება ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ფაქტობრივად, ამით დაიწყო უპრეცედენტო ომებისა და არეულობების ერა.

„გამოცხადებაში“ ნაწინასწარმეტყველები იყო, რომ მშვიდობა წაღებულ იქნებოდა „დედამიწიდან, რათა ადამიანებს ერთმანეთი დაეხოცათ“ (გამოცხადება 6:4). ფაქტები ცხადყოფენ, რომ 1914 წელი ძველი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში პირველი მსოფლიო ომით დასრულდა და დაიწყო ახალი. პირველ მსოფლიო ომში დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა ერთი ენციკლოპედიის თანახმად, მარტო დაღუპული ჯარისკაცებისა და სამხედრო პირთა რიცხვი 8 500 000-ს შეადგენდა. კიდევ უფრო მეტი ადამიანი დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში. დაღუპული

ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების რიცხვი 35-დან 60 მილიონამდე მერყეობს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ 2010 -წლამდე 246 შეიარაღებული კონფლიქტი მოხდა მსოფლიოს 151 რეგიონში.

„იქნება საკვების უკმარისობა“ (მათე 24:7). – მე-20 საუკუნეში შიმშილობამ 70 მილიონზე მეტ ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე და ის დღემდე რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს პრობლემად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით შიმშილობა მსოფლიო მოსახლეობის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს, შვიდიდან ერთ ადამიანს არ აქვს საკმარისი საკვები. დღეს არსებული საკვების უკმარისობა არ არის გამოწვეული მხოლოდ უამინდობითა და ცუდი კლიმატით; ეს გამოწვეულია ოთხი სერიოზული პრობლემით: მოსახლეობის ზრდით, ნიადაგის გამოფიტვით, წყლის უკმარისობითა და ტემპერატურის მატებით.

„იქნება დიდი მიწისძვრები“ (ლუკა 21:11). – ვინაიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი მიწისძვრის ზონაში ცხოვრობს, მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა და დაზარალებულთა რიცხვი კატასტროფულად მატულობს. სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებულ 2010 წლის მსოფლიო ანგარიშში ნათქვამი იყო: „ბოლო წლებში მომხდარ უდიდეს სტიქიურ უბედურებათა შორის სეისმურმა მოვლენებმა ყველაზე მეტი ადამიანი შეიწირა.“ 1970–2001 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 19 დამგრეველი მიწისძვრა ხდებოდა, დაღუპულთა საშუალო წლიური რაოდენობა 19 547-ს შეადგენდა. მომდევნო ათი წლის განმავლობაში დამანგრეველ მიწისძვრათა საშუალო წლიური რაოდენობა 28-მდე გაიზარდა, დაღუპულთა საშუალო რიცხვმა კი წელიწადში 67 954-ს მიაღწია.

„იქნება... ეპიდემიები... ხან ერთ და ხან მეორე ადგილას“ (ლუკა 21:11). – მიუხედავად მე-

დიცინის წინსვლისა, ადამიანები დღემდე იღუპებიან ინფექციური დაავადებებით. საერთაშორისო მიმოსვლამ და მსოფლიოში მზარდმა ურბანიზაციამ ხელი შეუწყო დაავადებების სწრაფ გავრცელებას. მე-20 საუკუნეში ყვავილმა 300-დან 500- მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ერთ-ერთ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ანგარიშში ნათქვამია, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში „ოცდაათზე მეტი მანამდე უცნობი დაავადება მოევლინა ქვეყანას. ამ დაავადებათა რიცხვში შედის ებოლას ცხელება, აივ ვირუსი, ჰანტავირუსი და მწვავე რესპირატორული დაავადების სინდრომი“. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მედიკამენტებისადმი რეზისტენტული ბაქტერიებისა და მიკრობების ზრდასთან დაკავშირებით გვაფრთხილებს: „მსოფლიო მიემართება პოსტანტიბიოტიკური ეპოქისკენ – ეპოქისკენ, რომელშიც ჩვეულებრივი ინფექციური დაავადებები აღარ დაექვემდებარება მკურნალობას და კვლავ დაბრუნდება დრო, როდესაც ასეთი სნეულებები მრავალს უსწრაფებდა სიცოცხლეს“.

ადამიანები „ერთმანეთს გასცემენ და შეიძულებენ... მრავალს სიყვარული გაუნელდება“ (მათე 24:10, 12). სიძულვილით ნაკარნახევმა არაერთმა გენოციდმა მილიონები შეიწირა. უამრავ ქვეყანაში მიმდინარე შეირაღებული კონფლიქტებისა და დამნაშავეობის გამო მოსახლეობა სულ უფრო მეტ შიშში ცხოვრობს და იზრდება ძალადობრივი ქმედებების რიცხვიც.

ნაცისტურმა რეჟიმმა ექვსი მილიონი ებრაელისა და მილიონობით სხვა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რიგითი მოსახლეობის რეაქციებზე დაკვირვებით, ზიგმუნტ ბაუმანი აღნიშნავს: „მასების განადგურებას არანაირი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია. პირიქით, ამას ბევრი საკმაოდ მშვიდად

და წყნარად შეხვდა“. „ბი-ბი-სის“ საინფორმაციო გამოშვებაში ნათქვამი იყო, რომ სულ რამდენიმე თვეში ტუტსისა და თანამედროვე ხუტუს ხალხთაგან დაახლოებით 800 000 ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. ერთი ექსპერტის თქმით, ამ მასობრივ ხოცვა-ჟლეტაში თითქმის 200 000 ადამიანი იღებდა მონაწილეობას. ყოველწლიურად 740 000-ზე მეტი ადამიანი იღუპება დანაშაულებრივი ქმედებებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

„ადამიანები იქნებიან საკუთარი თავის მოყვარულები, ფულის მოყვარულები... თბილ გრძნობებს მოკლებულები“ (2 ტიმოთე 3:2, 2). – ჩვენი ეპოქა ხასიათდება სიხარბითა და ზნეობრივი ნორმების გაუფასურებით. შედეგად საზოგადოებაში უამრავმა სოციალურმა პრობლემამ იჩინა თავი.

რას ცხადყოფს ფაქტები – გაერთიანებული სამეფოს გაეროს ბავშვთა დახმარების ფონდის ანგარიშში ნათქვამია, რომ „გაერთიანებულ სამეფოში მშობლებიც და შვილებიც გამუდმებით ყიდულობენ სხვადასხვა ნივთებს იმ მიზნით, რომ მოაგვარონ ურთიერთობაში წამოჭრილი გაუგებრობები და ღირსების გრძნობა აიმაღლონ“. მსოფლიოში დაახლოებით 275 – მილიონი ბავშვი ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ხდება.„მიიჩნევენ, რომ მარტო შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 500 000-ზე მეტ ხანდაზმულს აყენებენ შეურაცხყოფას ან უპატრონოდ ტოვებენ“ (დაავადების კონტროლისა და პრევენციის ცენტრი).

წინასწარმეტყველების და წმიდა მამების მიერ დატოვებული ბოლოჟამის პროგნოზი თითქმის იდენტურია – არავინ იზრუნებს კაცთა სულებზე. ყველანი მოგებას გამოეკიდებიან. ყველა გულგრილი გახდება საკუთარი ცხოვნების მიმართ, გაქელავენ სარწმუნოებას, არ ექნებათ შიში ღმრთისა, დაკარგავენ პასუხისმგებლობას, მოვალეობის გრძნობას და გაუგებარნი იქნებიან. ყველაფრის კრიტერიუმი ფული გახდება. ადამიანები ერთმანეთს გაჰყიდიან. ბოროტება საშინელი ძალით გავრცელდება დედამიწაზე და უკანასკნელი ჟამიც მოიწევა.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ბუბა ხოტივარი:

მაშინ, მეორე საუკუნეში...

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

ანარქისტი ანანია – გურამ ნიკოლაიშვილი. ცირკის ცნობილი არტისტი. გადაღებებს შორის პაუზებში ისეთ ნომრებს აკეთებდა, გვხოცავდა სიცილით. მასაც ქართლოსი ბავშვობიდან იცნობდა და ძალიან აფასებდა: გურამი იშვიათი გარეგნობითა და ნიჭიერებით ნამდვილი ვალუტააო... ანარქისტის სახე გიორგი ლეონიძის „სოფლის შარაგზიდან“ მოვიდა. დიდ გოგლას იქ წესიერი, სევდიანი, ქალში შეყვარებული ანარქისტი ჰყავს გამოყვანილი, დაახლოებით ისეთი, შემდგომში კახი კავსაძემ რომ განახორციელა თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხეში“. ჩვენი ანარქისტი კი სიყვარულზე არ ფიქრობს. მას ამის არც დრო აქვს, არც სურვილი. მან ხომ უდიდესი მისია დააკისრა საკუთარ თავს: სამყარო უნდა გადააკეთოს, კაცობრიობის მრუდედ განვითარებული ისტორია უნდა გაასწოროს. არც მეტი, არც ნაკლები. ასეთ ანარქისტს ითამაშებდა მხოლოდ და მხოლოდ გურამ ნიკოლაიშვილი, ცირკის უბადლო მსახიობი.

ჩვენთან ანარქისტის სახე შეგნებულად არის გამასხარავებული. ანარქისტი ჩვენთვის მარტო ანარქისტი არ არის. ჩვენ გვინდოდა დაგვეხატა განზოგადოებული სახე შეუვალი ფანატიკოსი რევოლუციონერ-ათეისტისა, რომელიც თავისი იდეების სისწორეში დარწმუნებული შეაკვდება მტერს, მაგრამ თავისას გაიტანს – მოსპობს ყველაფერს, რაც წინ აღუდგება მისი იდეების გამარჯვებას. თავისი მიზნების მისაღწევად იგი „მზესაც კი ჩააქრობს“! ღმერთის შეგრძნებას სრულიად მოკლებული ანარქისტი გამწარებული ებრძვის სამღვდელოებას და სახელმწიფოებრიობას. ის ხომ ვერ მოისვენებს, სანამ არ ატეხავს მსოფლიო შფოთს. მას სულის სიღრმეში მხოლოდ და მხოლოდ ნგრევისა და სისხლიანი სანახაობების გაჩაღების ინსტინქტური (თანდაყოლილი, როგორც ყველა იდეურ რევოლუციონერს) სურვილი ამოძრავებს და, კაცობრიობის გადარჩენის მქუხარე ლოზუნგებით შეიარაღებული, შეტევაზე გადადის. იგი უტევს პირდაპირ ღმერთს და მის წარმომადგენლობას დედამიწაზე – ეკლესიას. მან იცის, რომ ათეიზმის გაბატონებას დედამიწაზე სწორედ ეკლესია უშლის ხელს. ისიც იცის, რევოლუციის საწყის ეტაპზე კეთილსინდისიერ მღვდელთმსახურთ რომ დაეტაკოს, იმ წამსვე დამარცხდება – ხალხი მას (მათ!) მხარს არ დაუჭერს და რევოლუცია არ მოხდება. ამიტომ, მიუვარდება ჯერ წუწურაქ მღვდელსა და ამპარტავან დიაკვანს და იწყებს გათამაშებას ამ შავი კომედიისა...

ლაზარე ანარქისტს გაიცნობს იმ მომენტიდან, როცა ანარქისტი მისი ჭკუით გამანადგურებელი ლოზუნგებით ებრძვის ღმერთს:

- მამაო ენუქ, ჭუჭყი, ჭლექი, ტალახი, ძონძი ხომ შენმა ღმერთმა შექმნა!

ეს ლოგიკური იდიოტიზმი დიდი არეულობების დასაწყისია. დაპირისპირება შეურიგებელია:

- მამაო ენუქ, იმ შენი ღმერთის რწმენა სასაცილოა! გეყო რელიგიური იავნანები!...

ჩვენს ანარქისტს მიხეილ ბაკუნინის ტექსტები დააქვს ჯიბით და ხალხს უკითხავს, თუმცა კარგად არც კი ესმის მათი შინაარსი:

– ღმერთის ფიქციაზე დამყარებული სახელმწიფო ადამიანის მთავარი დამთ... (უჭირს)... ურ...გ...ვნელია. რელიგია კალ...ლექ...ტიური შეშლილობაა, დამონებული მასების მახინჯი პროდუქტია, ხოლო ეკლესია – ზეციური სამიკიტნოს ნაირსახეობა... რომ მივიყვანოთ კაცობრიობა ხელისუფლების თავისუფლებისაკენ, საჭიროა პირველ რიგში ავაფეთქოთ სახელმწიფო (იდიოტივით იღიმება – გურამი ამას ოსტატურად აკეთებს) და გამოვრიცხოთ კაცობრიობის ცხოვრებიდან ძალაუფლების პრინციპი. ძირს მეფე! ძირს (დიაკვანს შეხედავს ბრიყვული სერიოზულობით)... მღვდელი! ძირს ბატონი! მე დავამთავრე!..

რელიგია კოლექტიური შეშლილობა ყოფილა. სახელმწიფო კი ასაფეთქებელი. რამდენი უბედურება მოუტანა კაცობრიობას ამდაგვარმა აზროვნებამ (თუ ამას აზროვნებას დავარქმევთ). რამდენი სახელმწიფო მართლაც დაინგრა, რამდენი ოჯახი გაუბედურდა! რისთვის?! ამ შერყეულებს ხელში ძალაუფლება რომ აეღოთ, მითიური კომუნიზმის მშენებლობა რომ დაეწყოთ (Мы рождены, чтоб сказку сделать былью!) და ვერასოდეს ვერ დაემთავრებინათ? ვერც დაამთავრებდნენ, იმიტომ, რომ სინამდვილეში არც არასოდეს აშენებდნენ არაფერს ყაზარმების გარდა...

* * *

ჩვენი ანარქისტისნაირ უგუნურებზე მამაჩემმა ერთხელ თქვა: წუთისოფლის სტუმრები მასპინძლობას რომ იწყებენ, მაშინ ღუპავენ თავსაც და ქვეყანასაც. დედაჩემმა წამსვე აუბა: ჰო, ცხოვრება სიზმარია და ყველა უბედურება მის ცხადში გადაყვანისას იწყებაო. მამამ თავისთვის განაგრძო, ჩაფიქრებით: ...თუმცა საკუთარ დაღუპვამდე ბევრ წესიერ სტუმარსაც უმწარებენ ამ ქვეყნად სტუმრობის მადლსაო. ასე იცის ზედაპირული სამართლიანობისთვის დაუნდობელმა ბრძოლამო...

რა კარგი ხალხი ვიყავით ადრე ქართველებიო, ჩუმ-ჩუმად ოხრავდნენ ჩემი მშობლები, რა ხალხი გაწყვიტეს ამ უჯიშო და წყეულმა ბოლშევიკებმა, რა გვარები მოსპეს, რა ჯიშის, რა სილამაზის! პირდაპირ გაგვანახევრესო! მარტო ძმები ჩრდილელები რად ღირდნენ, რუსთაველზე რომ გამოვიდნოდნენ, თითქოსდა მართლაც რუსთაველის გმირებივით იყვნენ: რაინდები სულით, რაინდები გარეგნობით, წესიერი, ზრდილი, განათლებული ხალხიო. ან სანდროს რას ერჩოდნენ, ახმეტელს, ან ევგენი მიქელაძეს, მართლაც გენიალურ დირიჟორს, უცხოეთის ჯაშუშობის მოჩმახული ბრალდებით რომ დახვრიტეს, მეუღლეც დაუპატიმრეს და შვილები, სამი წლის თინა და ერთი წლის ვახტანგი ქუჩაში რომ გამოუყარეს! მწერალი დია ჩიანელი (ჩვენი რეზო ჩხეიძის მამა) როცა დაიჭირეს და დახვრიტეს (მხოლოდ იმიტომ, რომ ინტელიგენტი იყო და მთელ ქუთაისს უყვარდა), ცოლიცა და პატარა შვილებიც გაუგდეს გარეთ გასაყინადო! დეკემბრის სუსხშიო! ეგენი ხომ შეგნებულად თესავდნენ ხალხში პათოლოგიურ შიშსო... არ შეგიძლიათ თქვენ, ახალ თაობას, ამნაირი უაზრო სიმხეცისა და მიზეზების ახსნა, შეგრძნება და ღმერთმა არ ქნას როდესმე შეიგრძნოთო... ეს იყო ბოლშევიკების ცხოვრების წესი, აბა სხვანაირად არსებობა მათ ხომ ვერ წარმოედგინათო. ან გლეხებს რას ერჩოდნენ, ყველა სოფელში ყველაზე გამრჯე და ნიჭიერი რომ დაახვრეტინეს ყველაზე უსაქმურსა და მდაბიოს! რა იცით თქვენ, ახალგაზრდებმა, რა წესიერი, შრომისმოყვარე, პირდაპირ, ბრძენი იყო ქართველი გლეხიო! კარგად შეისწავლეთ ილია ჭავჭავაძე და მიხვდებით,– ეს მართლაც ასე იყო. ან სამღვდელოებას რა უქნეს, როგორ ამოწყვიტეს დაუნდობლად, როგორ შებილწეს ხატები, როგორ დაანგრიეს ტაძრები! რამოდენა ცოდვა დაიდეს ამ უბედურებმა, არც კი ესმით კარგად, დღემდე ჯიუტად რომ დგანან თავისაზეო! რა ნამუსით ამბობენ დღეს კომუნისტების ადვოკატები, აბა რა უნდა ექნათ, რომ არ დაეხვრიტათ, სხვა რა გზა ქონდათო! გესმით, რა უზნეობას კადრულობენ ეს მათი თანაცოდვილები? სხვა გზა არა ქონდათო! კაციჭამიას კაცის ჭამის მეტი სხვა გზა ვერ წარმოუდგენიაო!..

ზურია ჭაჭიაშვილმა ერთხელ თქვა: მთელი ცხოვრება ვშიფრავდი, სინამდვილეში რა აზრი უდევთ ამ ბანდიტებს ჯადოსიტყვაში „კომუნიზმი“. ახლა მივხვდი მგონი, სიბერეშიო: ბოლშევიკებისთვის კომუნიზმი ნიშნავს ყველა წესიერი ადამიანის მოსპობას და პავლიკა მოროზოვებისა და შახტიკოტეების გაბატონებასო. (მაშინ გავიგე პირველად სახელი-ტერმინი „შახტიკოტე“). არაფერი შემთხვევითი აქ არ არის, ჩემზე კარგად არ იცი ეს შენა კაცო? – აყვა მამაჩემი,– ეს ხომ მათი გეგმაა, ფარული პროგრამა, რომელიც განახორციელეს კიდევაც, როცა გაიმარჯვეს: თანმიმდევრულად გაანადგურეს სამღვდელოება, დაანგრიეს ეკლესიები, დაწვეს ხატები, ამოწყვიტეს სამეფო ოჯახი, არისტოკრატია, ინტელიგენცია (მამა თითქოს წყნარად განაგრძობდა ჩამოთვლას, მაგრამ ხმა გაებზარა), ბურჟუაზია, საზოგადოების ძლიერი საშუალო ფენა, გამრჯე გლეხობა,– ყველა ის ფენა, ყველა ის ადამიანი, რომელიც რაიმეს წარმოადგენდა და ამ ბნელებს მონად არ დაუდგებოდა... მაგრამ ასე ჭირდებოდა მსოფლიო რევოლუციას. ბოლშევიკები, თუ საუკეთესოს არ მოსპობდნენ, კომუნიზმს ვერ ააშენებდნენ. წესიერი, დაუცველი ხალხის ყურებისას აგრესია უძლიერდებოდათ და შიშები ეძალებოდათ, ესენი რევოლუციას დაგვიღუპავენო. დაუღუპეს კიდევაც საბოლოო ჯამში...

ამ ჩვენს სულელ ანარქისტს ყველაფერი ეს ბოლომდე გააზრებული, რა თქმა უნდა, არცა აქვს, მაგრამ მის სიშმაგეს კარგად იყენებენ ბოლშევიკები: არსებულის დასანგრევად და ქვეყნიერებაზე გასაბატონებლად (გამარჯვების შემდეგ კი სიამოვნებით დახვრეტენ ყველა ანარქისტსა და რევოლუციონერს და ამას სამართლიანობის აღსრულების ისტორიულ აუცილებლობას დაარქმევენ)...

* * *

ჯერ-ჯერობით კი დიაკვანი განუწყვეტლივ ცემს ანარქისტს, მაგრამ იმას თითქოს ძალა ემატებაო, თითქოს კიდევ უფრო უძლიერდება ბრძოლის აზარტი... ლაზარე გაფართოებული თვალებით ადევნებს თვალყურს ამ სანახაობას. ერთი-ორჯერ გამოესარჩლება კიდეც ანარქისტს – ეცოდება ეს სულითა და ხორცით მახინჯი, მაგრამ რა შეუძლია შეცვალოს ბავშვს? ლაზარეც ხომ ამ დროს თავის არსებობისთვის იბრძვის: ღამღამობით შიმშილისგან გასავათებული, მღვდელს ზანდუკს უხვრეტს და პურს პარავს...

ანარქისტი კი არ ისვენებს. ის ღამეც კივის:

- მამაო ენუქ, ქრისტე გამხდარი იყო, შენ კი რამ გაგასუქა?!

მორიგი ცემა-ტყეპა თითქოს გარდაუვალია, მაგრამ მოულოდნელად მტრები შერიგდებიან და ერთად იწყებენ... ქეიფს! რა ხდება? მთვრალი დიაკვანი რატომ ეუბნება მთვრალ ანარქისტს: შენ რომ არ მყავდე ჩემს ცხოვრებას ფასი არ ექნებოდა! და ისიც რატომ ეთანხმება და ერთად რატომ ცეკვავენ და მღერიან? გაახსენდებათ, რომ ერთმანეთზე, ნებსით თუ უნებლიედ, გადაჯაჭვულნი არიან? ან იქნებ ის, რომ მაინც ადამიანები არიან და არაფერი ადამიანური მათთვის უცხო არ არის? რომ სულელური იდეების აყოლას მართლაც გამოკრეტინება მოჰყვება? ვიფიქროთ, რომ ამას ყველაფერს გაიაზრებენ ერთმანეთის მტრები? აბა რა ვიცი?! აიღეს და შერიგდნენ. ასე მოუნდათ და მორჩა! ჩვენთვის, ფილმის ავტორებისათვის, არც კი უკითხავთ. ბოლოსდაბოლოს, არ გინახავთ ერთად მოქეიფე პოზიცია-ოპოზიცია?!

ლაზარე კუთხეში ზის და სიცილით კვდება, როცა სამივე ერთად მღერის და ცეკვავს. იგი გუმანით ხვდება ყველაფერს... ამ შერიგებით თითქოს მორჯულებული ანარქისტი, ალბათ, მეორე დღეს მაინც მოვა და გამანადგურებელი ლოზუნგებით ისევ მიიტანს იერიშს ეკლესიაზე. შერიგების მიუხედავად ის ბრძოლას ახალი ძალით გააჩაღებს. მაგრამ ჩვენ ამას უკვე ვეღარ ვხედავთ. ჩვენ გავყვებით ლაზარეს. იგი ხომ იძულებული იქნება გაიქცეს და მიატოვოს მღვდელის სახლი. იგი ვერ გაიგებს, რით დამთავრდა დიაკვანისა და ანარქისტის

დაპირისპირება. ამას ლაზარე, ალბად, შეიტყობს შემდეგ – დიდი, სისხლიანი რევოლუციის ხილვით, როცა დაიწყება ყველას ომი ყველას წინააღმდეგ, სადაც გაიჟლიტება მართლაც ყველა, ვინც ამ სიკვდილის როკვაში მონაწილეობდა (ან არც მონაწილეობდა) – თვით რევოლუციონერებიც კი, რომლებიც ბოლოსდაბოლოს ერთმანეთს დაერევიან და აღასრულებენ ყველა უღმერთო რევოლუციის ფინალის გარდაუვალ საშინელ სამართლიანობას: დედაბუდიანად ამოწყვეტენ ურთიერთსაც...

ასე სამარცხვინოდ დაამთავრებენ ათეისტები დიად ლაშქრობას ღმერთის წინააღმდეგ და დიდი ხნით თვითონვე დამარხავენ როგორც რევოლუციას, ასევე მის ბოდვით იდეებს...

* * *

აი ასეთს ვხედავდით ანარქისტის იდეურ სახეს – უფრო სწორად სიფათს, დინგს, რომელსაც ის ყველგან ყოფს და ყველაფერს აბინძურებს. გურამმა აიღო თავის თავზე ამ უმძიმესი როლის განხორციელების მისია და, ჩემის აზრით, საუკეთესოდ გაართვა თავი. ყველაფერს ზემოთქმულს დაუმატა სარკაზმი, სიმსუბუქე და საკუთარი ქცევების სრული უკრიტიკობა (უინტელექტო რადიკალის მთავარი თვისება) და შექმნა გროტესკული სახე. ამით ანარქისტი უფრო სასაცილო, უფრო ასატანი გახადა – მიუხედავად ყველაფრისა ის მაინც არ ძულს მაყურებელს. მას როლი სერიოზულად რომ ეთამაშა, ყველაფერი ძალიან მძიმე საყურებელი იქნებოდა. ვერც კი წარმომიდგენია ასეთი ტიპი გურამს სხვანაირად როგორ უნდა განესახიერებინა.

* * *

აზნაური – ვასილ ჩხაიძე. ელდარ შენგელაიას მიერ აღმოჩენილი დიდი პიპინია. რაც იყო ცხოვრებაში, იმას თამაშობდა კინოკამერის წინ, რასაც თამაშობდა კინოკამერის წინ, ცხოვრებაშიც ის იყო. იყო – ჯიშიანი ქართველი არისტოკრატი. აი ვინ არის მართლაცდა წუთისოფლის სტუმარი! და იქცევა ისე, როგორც მოკრძალებულ სტუმარს შეეფერება.

ბატონ ვასილთანაც პრობლემები არ მქონია, იგი უსიტყვოდ იტანდა გადაღებების გაჭირვებას, სიტყვა ჩივილისა არ დასცდენია – ის ხომ სულით არისტოკრატი იყო. ვასილ ჩხაიძე მთლიანად შეერწყა აზნაურის როლს. როლს მოხუცებული რაინდისა, რაინდისა, რომლის შინაგან სულიერ კოდექსზე ამა სოფლის უკეთესობა ვერანაირ ზემოქმედებას ვერ ახდენს. რაინდისა, რომლის სულიერ ბირთვს ეს ჩვენი ცხოვრება მართლაცდა ვერაფრით ვერ აბინძურებს. დაბადებიდან გარდაცვალებამდე ის რჩება ისეთივე სუფთა როგორიც გააჩინა მამაზეციერმა (ასეთ ადამიანებზე შახტიკოტეები შურიანი ირონიით ამბობენ, ეგ სულელია, მთელი ცხოვრება ჭკუა ვერ ისწავლაო)...

ბატონი ვასილის აზნაური ძალიან დაეხმარა ლაზარეს (და გეგასაც) ნამდვილი ხასიათის გამომზიურებაში. აზნაურთან ლაზარე გაიხსნა როგორც კეთილი, ერთგული, ტაქტიანი, იუმორით სავსე ბავშვი. იმიტომ, რომ იგრძნო აზნაურისგან სიყვარული და პატივისცემა. ისინი ხომ ერთნაირები აღმოჩნდებიან... აზნაურს და გლეხის ბიჭს ერთი მთავარი რამ აერთიანებთ – შინაგანი კეთილშობილება. ერთმანეთს ეჯიბრებიანო თითქოს ურთიერთ პატივისცემაში. აზნაურთან სცენებში გეგაც უკვე თავის თავს თამაშობს, მისი და ლაზარეს კეთილი ბუნებაც

მთლიანდ ერწყმიან ურთიერთს...

ერთხელ კითხა აზნაურმა სხვათაშორის:

– თუ იცი ვინ იყო ლაზარე?

- არა, – უპასუხა ლაზარემ (ჩანს, არც დედინაცვალი და არც მღვდელი მის სწავლაზე მაინცადამაინც არ ფიქრობდნენ).

აზნაურმა უკმაყოფილოდ ამოიოხრა, მაგრამ საყვედური არ აკადრა, არ მიაყენა შეურაცხყოფა ბავშვს (აზნაურმა არც ის დააზუსტა, რომელ ლაზარეს გულისხმობდა: იმ ლაზარეს უფალმა იესო ქრისტემ მკვდრეთით რომ აღადგინა, თუ იმ უპოვარ ლაზარეს, რომელიც მთელი ცხოვრება იტანჯებოდა, მაგრამ ბოლოს სამოთხეში რომ წაიყვანა ღმერთმა). მაგრამ ეს ის კაცია, აუცილებლად თვითონ რომ მოუყვება ამ ჩვენს ლაზარეს მისი ბიბლიური სეხნიების ღმერთთან ურთიერთობების შესახებ. და, საერთოდ, მის აღზრდა-განათლებასაც მოკიდებს ხელს (თუ კი დასცალდა),– თვითონ ხომ დროდადრო გოეთეს „ფაუსტს“ კითხულობს:

წამისა მიმართ წარვსთქვამდე ოდენ:

დახანდი კიდევ – რა ლამაზი ხარ!

გოეთესთან ერთად წამის შეჩერება და მარადისობის ხილვა სურს აზნაურს. ამ მარადისობისთვის ის თითქოს მთელი ცხოვრება ემზადებაო. აქ კი, ჩვენთან, ამა სოფელში, ამ გაუკუღმართებული ზნეობის დროს, ის უხერხულად გრძნობს თავს, ზედმეტიაო თითქოს. აზნაური გამოგონილ, უფრო სწორად, უკვე გარდასულ სამყაროში ცხოვრობს. ამ დროისა, ამ რეალობის მას არც არაფერი ესმის, არც არაფერი ჭირდება.

- ეჰ, რა დროს დავიბადე!

აზნაური და მაწანწალა ბავშვი საოცრად გაუგებენ ერთმანეთს. და ვინ იცის, როგორი სიკეთით განვითარდებოდა მათი ცხოვრება, აზნაურს შახტიკოტე რომ არ დასდგომოდა თავზე და ვალში არ წაერთმია (უფრო სწორად, არ წაეგლიჯა) ლაზარე. ამ სცენაში ჯერმალ ღაღანიძე აზნაურის მიმართ შახტიკოტეების ფარულ კლასობრივ ანტაგონიზმს აქსოვს: მადუქნეებმა გულის სიღრმეში ხომ კარგად იციან, რომ ასეთ ხალხს აქვს ყველაზე დიდი სიმდიდრე ამ ქვეყნად – სწორედ ის თანდაყოლილი კეთილშობილება, ის ყველაზე დიდი ძალა, რომელსაც ვერსად ვერ იყიდი, ვერც მოსპობ, ვერც მსახურად აიყვან. თუმცა შეგიძლია კარგად გამოიყენო შენი ჩარჩული ინტერესებისათვის. თანაც დაამადლო, მასხრადაც აიგდო (შეგრჩება კიდეც: ასეთი ადამიანი სამაგიეროს ხომ არ გადაგიხდის!). მაგრამ შახტიკოტეებმა ისიც იციან, რომ კაცი მაინც კაცია, ჩარჩი კი მაინც ჩარჩი და ამიტომაც არ პატიობენ ამ თავის ჩარჩობას არასოდეს კაცებს... ლაზარეს თვალებში განგაში იკითხება: არ უნდა მოხუცის მიტოვება. მაგრამ უძლურია ლაზარე. უძლურია აზნაურიც – იძულებულია დაუთმოს შახტიკოტეს ლაზარე...

მარტო რჩება საცოდავი აზნაური. ბოლო იმედი წაერთვა თითქოს, მაგრამ ლაზარე მაინც ლაზარეა. ის ხომ ბოლომდე არ მიატოვებს მოხუცს: აზნაურმა რომ ვერ გაიგოს და ამით მისი ღირსება არ შეურაცხყოს, ჩუმად დააქვს ხოლმე მასთან საჭმელი. აი ახლაც აზნაურს ჩასძინებია თავის გოეთესთან ერთად. ლაზარე ფეხაკრეფით შედის, უტოვებს მაგიდაზე სანოვაგეს, თბილი მზერით უყურებს მძინარე მოხუცს და ჩუმად იპარება. ის მიდის დუქნისაკენ, საიდანაც ქეიფის ღრიანცელი ისმის...

აზნაურს ახმოვანებს ბატონი გოგი გეგეჭკორი, კიდევ ერთი არისტოკრატი. ისეთი, ცალობით რომ დარჩა საქართველოში. მოხდა სრული თანხვედრა ბატონ ვასილის გარეგნობისა და ბატონი გოგის ხმისა – პირველ რიგში მათი კეთილშობილებისა და ბევრი ერთნაირი თვისების გამო!

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიოვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– როგორ ხდება ვადების გამოთვლა სამოქალაქო სამართალში?

– საინტერესო შეკითხვაა. თემა აქტუალურია, რადგან ბევრმა არ იცის ვადების საკითხი და უშვებს სერიოზულ სამართლებრივ შეცდომებს. ეს რომ არ მოხდეს, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ქვემოთ მითითებულს:

– მუხლი 122. ვადის დასაწყისის აღმნიშვნელი დრო

თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.

მუხლი 123. ვადის დამთავრება

1. დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.

2. ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს.

3. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

მუხლი 124. ცნებები

1. ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას,კვარტალი – სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე – თხუთმეტ-დღიან ვადას.

2. თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, ბოლოს უნდა გამოითვალოს თხუთმეტი დღე.

მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას

ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.

მუხლი 126. ვადის გამოთვლა თვეების მიხედვით

1. თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი სამას სამოცდახუთით.

2. თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ – თვის მეთხუთმეტე დღე, ხოლო თვის დასასრულად – თვის ბოლო დღე.

მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

* * *

– ჩემმა შვილმა პირობითი სასჯელის პერიოდში ჩაიდინა ნაკლებად მძიმე განზრახ დანაშაული და ამჟამად სასჯელს იხდის ერთ-ერთ დაწესებულებაში. როდის იქნება შესაძლებელი მისი პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება?

– როდესაც მოიხდის ფაქტობრივად დანიშნული სასჯელის სამ მეოთხედს.

* * *

– როდიდან გაქარწყლდება არასრულწლოვნის ნასამართლობა?

– თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 12. არასრულწლოვნის ნასამართლობა

1. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

* * *

– როდიდან შედის ძალაში სამოქალაქო კანონი?

– მთლიანად მოგაწოდებთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის შინაარსს, რომელიც ამომწურავად პასუხობს თქვენს შეკითხვას:

– მუხლი 3.სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში

1. კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალაში შედიან მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ.

2. კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

3. კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ახალი კანონი, ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას, ანდა, თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი.

4. ზოგადი ხასიათის კანონი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს.

5. იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს ძველი კანონის ამოქმედებას.

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

იშთარი

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017)

შუმერულ ეპოსში ნახსენები ღმერთების, ქალღმერთებისა და ტოპონიმიკური სახელწოდებები ბევრ მსგავსებას ამჟღავნებს სვანურთან. მაგალითად:

„ენლილე“— შუმერთა ღმერთი; სვანური სიმღერა „ლილე“, მზის სადიდებელი;

„ნიდაბა“ — ყანების ღმერთი (შუმ) — სვანურად „დაბ“ — ყანა. „ნი“ თავსართი, იგივე „დი“ — მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი;

„არარუ“, დემონი (შუმ) — „არარუ“ დემონის გასადევნელი უძველესი შელოცვის დასაწყისი სვანურში;

„იშთარი“ — ქვესკნელის ქალღმერთი (შუმ) — სვანურში „იშთხარ-თხარა“;

„აზიგ“ — უკურნებელი სენის დემონი (შუმ) — სვანურში „ზიგ“;

„ლაგაშ“ — ადგილის სახელწოდება (შუმ) — „ლაგაშ“ ფეხის დასადგამი ადგილი (სვან);

„ნამთარი“ — ბედისწერის მაუწყებელი (შუმ) — სვანურად „ნამთარი“ იგივეა რაც ნაწინასწამეტყველევი;

„აქადი“ — მაცდუნებელი (შუმ) — სვანურად „აქადი“-აცდენს, მ-ქადნე — მაცდუნებელი;

„დალი“ — ავდრისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი (შუმ) — „დალი“, ნადირობის ქალღმერთი სვანურში;

„გათ-უმდუგი“ — ქალღმერთი შუმერში — „უმდაგ“, ჩაუმქრალი, უკვდავი (სვან);

„გორო“ — საზომი ერთეული შუმერში — „გორ“ ღვინის საწყაო ერთეული სვანურსა და ქართულში;

„ნანარი“ — შუმერების ქალღმერთი — „ნანარი“, სოფელი ქვემო სვანეთში;

„უთუ“ — შუმერთა მზის ღმერთი, „ათუ“ — ცხელი (სვან);

„უმა“ — შუმერული ქალაქი; „უმა“ — მწარი (სვან);

„ური“ — ქალაქი შუმერის ჩრდ. ნაწილში; „ური“ — უმწიფარი (სვან);

„ცერი“ — ადგილის სახელწოდება შუმერში; „ეცერი“, სოფელი სვანეთში;

„ზაგარ“ — ადგილის სახელწოდება შუმერში“; „ზაგარ“, ზეგანი (სვან);

„ლუხალი“ — გილგამეშის მოძღვარი; „ლუმხალ“ — შეგნებული, მცოდნე (სვან);

„მელამ“ — მომაკვდინებელი გაელვება (შუმ), „მელამ“ — მხრჩოლავი კვამლი (სვან)

„ირმინი“, ქალღმერთი შუმერში; „ირინი“ — ნათდება (სვან);

„ხუმბაბა“ — ტყის მცველი (შუმ); „თხუმ ბაბა“ — თავკაცი (სვან);

„მაშგურ — დაუდგენელი ჯიშის ხე; „მაშგურ“ — საყრდენი (სვან);

„ბაბა“ — შუმერული ღმერთი; „ბაბა“ — პაპა (სვან);

„ლახამუ“ და „ლახმუ“ — პირველშექმნილი წყვილი, როგორც ადამი და ევა (შუმ); „ლახამუ“ და „ლახმუ“ — სოფლები სვანეთში;

„მარი“ — ქალღვთება შუმერში; „ლამარია“ — ღვისმშობელი სვანურად;

„თიამათი“ — ზღვა, ქაოტური წყლები (შუმ); „ყიამეთი“;

„მაგვენა“ — ტაძარი შუმერში; „მაღვენა“ — ქონება;

„მამი“ — ქალღმერთი შუმერში; „მამი“ — სოფელი სვანეთში;

„ზუ-ლუმარი“ — ღმერთი შუმერში; „ლუმარ“ — მზად მყოფი (სვან);

„ლარიგ“ — ქალაქი შუმერში; „ლარაგ“ — დასაყოვნებელი ადგილი;

„სუბართუ“ —ხურიტების ქვეყანა შუმერულად; „სუბარი“ — უძველესი სვანური გვარი.

უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი არის შუმერული ეპოსის მთავარი გმირის სახელი „უ-თანაფ-შითი“. მას, ღმერთებისგან ერთადერთს აქვს მხოლოდ მინიჭებული უკვდავება. გილგამეში უთანაფშითს დაეძებს.

ამ სიტყვის ძირი „თანაფ“ სვანურში „აღდგომას“ ნიშნავს. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს სვანები „თანაფს“ ეძახიან. ჩემი აზრით, აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი გასაღები. მაშინ, როდესაც ენა ძალიან ცვალებადია, თანხვედრის ამგვარი უამრავი მაგალითი მოწმობს იმას, რომ ქართველები უძველესი, კაცობრიობის აკვნად წოდებული შუმერული ცივილიზაციის ნარჩენი ერი ვართ, სხვა და სხვა ისტორიული კატაკლიზმების გამო ნელ-ნელა ჩრდილოეთისკენ გადმოხვეწილები.

ვამბობთ, რომ შუმერები არიან უძველესი და უპირველესი დედამიწის ცივილიზებული ხალხი, რომლებმაც გაანათლეს კაცობრიობა, ისინი არიან ცივილიზაციის სათავე. მათ ასწავლეს კაცობრიობას: წერა-კითხვა, ჯერ ლურსმნული, შემდეგ ანბანური ხაზი და ხაზობრივი ცივილიზაცია (გეომეტრია); რიცხვები — მათი აზრი და შინაარსი (მათემატიკა), ასტრონომია... ისინი წერენ და იწყებენ სამყაროსა და კაცობრიობის ისტორიას: „სამყაროს გაჩენა“ (აღწერენ პირველად ხმელეთის ამოსვლას პირველქმნილი ოკეანიდან დედამიწაზე), „წარღვან“, „მეორედ მოსვლა“, „კაცობრიობის ახალი წელი“ — მსოფლიოს შუმეროლოგებმა ეს ყველაფერი წაიკითხეს შუმერული თიხის წიგნებზე.

შუმერები ისტორიას ცისა და მიწის გაჩენით იწყებენ. გასაოცარია, საიდან იცოდნენ ეს ისტორია? ვინ უყურებდა ცისა და მიწის განაწილებას და საიდან? ასევე აუხსნელია ქართული ასომთავრულის — შუმერების ანბანის შექმნაც, რისი ნაწილია ანბანში შემალული სიბრძნე, სამყარო?

დედამიწის დაბადების ისტორია და ანბანის შინაარსი ერთი ფუძისანი არიან, ერთ საძირკველზე დგანან. საოცარია ისიც, რომ ამ ორ შემთხვევას, დედამიწის შექმნის ისტორიას და ანბანს, ერთი და იგივე ღვთაებები ჰყავთ.

მსოფლიო მეცნიერებმა შუმერების გზა-კვალს ვერ მიაგნეს დედამიწაზე და გამოაცხადეს, რომ ენა მკვდარია და ხალხი გადაშენებული. ასე დაასრულა მსოფლიოს უდიდესმა შუმეროლოგიურმა კოჰორტამ კვლევა შუმერების შესახებ: ფრანსუა ტიურო-დანაუერმა, არნო პიობელმა, ადამ ფოლკენშტეინმა და ფრანსუა ნოას კრამერმა, მიუხედავად მათგან ბრწყინვალედ წაკითხული შუმერული ისტორიისა.

1996 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან დაარსებულმა „მსოფლიო ანბანური კვლევის სამეცნიერო ცენტრმა „შუმერი“ თავისი ახალი მეცნიერული აღმოჩენით განაცხადა, რომ შუმერული ენაც ცოცხალია და ხალხიც, რაც დაადასტურა სამყაროსეული შინაარსის მქონე, კაცობრიობის პირველმა საოცრებამ — ანბანმა. რაც ანბანმა გააცხადა, ამის გაცხადება არ შეეძლოთ რაც მეცნიერები ყოფილან დედამიწაზე დასაბამიდან დღემდე და ეს ანბანი, ქართული ასომთავრული, რომელიც შუმერების ანაბანად აცხადებს თავს, რომელიც ოცდათხუთმეტნიშნაა და ოცდათხუთმეტივე ასო-ნიშანს შუმერული სახელები ჰქვია, რომელიც შუმერების ყველა ცივილიზაციის სათავეა — ეს კი არ იცის მსოფლიომ! ეს არის ის ანბანი, რომელშიც შეფარულია ყველა ის სიბრძნე, რითიც მოძღვრავდნენ შუმერები მსოფლიოს; ყველა ცივილიზაციის სათავე, სამყაროს ცივილიზაციის პირველი მემკვიდრე დედამიწაზე. ეს ანბანი კი ქართველი ხალხის დედა ენაა... (შუმერის“ პრეზიდენტი გახლდათ ზურაბ ქაფიანიძე, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი პროფესორი თეიმურაზ მიბჩუანი)

შუმერულისა და ქართველური ენების ნათესაობის მტკიცების პირველი ცდა (1904წ) ეკუთვნის კ. კრამალს, რომელმაც დამაჯერებლად მიიჩნია კავშირი შუმერული „სარ“ და ქართულ „წერას“; შუმერულ „სიმ“, „სუმ“ (მიცემა) და ქართულ „ჩემ“-ს (აქედან მიცემა) შორის, თუმცა მის მიერ მოყვანილი არა ერთი სხვა მაგალითი საეჭვოდ მიიჩნიეს.

კარგად არის ცნობილი გამოჩენილი ქართველი ასირიოლოგის მ. წერეთლის მოსაზრებანიც ამ საკითხთან დაკავშირებით. იგი 1912 წლიდან აქვეყნებდა ნაშრომებს რომლებშიც ანვითარებდა ვარაუდს, რომ შუმერული და ქართველური ენები (ქართული, სვანური, მეგრული, ლაზური) ბევრ საერთოს ავლენდნენ ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროებში, თუმცა გენეტიკურ ნათესაობას ამ ენებს შორის, მაინც ვერ ხედავდა. მის მიერ წარმოდგენილი შუმერულ-ქართველური ლექსიკური პარალელებიდან (გამოყენებულია: შუმერული, ქართული, სვანური, მეგრული, ლაზური, ბასკური, ირლანდიური, ინდო-ევროპული ენები) განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

შუმ „აგარ“/ქართ „აგარაკი“ — მინდორი, ტრამალი;

შუმ „აკიღ“/ქართ „კივილი“ — კივილი;

შუმ „ბაბარ“/ქართ „ვარვარი“ — ბრწყინვა;

შუმ „ბარ“/ქართ „ვერ“ — უარყოფა;

შუმ „ბირ“/ქართ „ბრიალი“ — ცეცხლის ბრიალი;

შუმ „დაგ“/ქართ „დღე“ — განათებული, სუფთა დღე;

შუმ „დიპ“/ქართ „თიხა“ — ქვა;

შუმ „დუგ“/ქართ „დოქი“ — დოქი;

შუმ „ემე/ქართ „ენე“, „ენა“, „ნინ“, „ნენა“ — ენა;

შუმ „ერემ“, „ერენ“/ქართ „ერი“/ირლ „ერენ“ — ხალხი;

შუმ „გან“/ქართ „ყანა“ — მინდორი;

შუმ „გურ“/ქართ „გორ“/სვან/„გურ“/მეგრ/„გორგოლ“/ ლაზ „ნგორ“ — მოტრიალება, გაგორება;

შუმ „ჰად“/ქართ „ღადარი“ — ნათება;

შუმ „ითუ“/ქართ „თვე“ — თვე;

შუმ „გორა“/ქრთ „ბორა“/ბასკ „გორა“;

შუმ „დურგარ“/ქართ „დურგალ“-ი;

შუმ „სილა“/ქართ „სილა“ — საწყაო ერთეული;

შუმ „ხარ“.ქართ „ხარ-ი“ — ხარი;

შუმ „ასე/ქართ „არე-მარე“ „არეა“ — ქვეყანა, ადგილი;

შუმ „ენგურ/ქართ „ენგურ-ი“ — მტკნარი წყალი;

შუმ „უბურ“/ქართ „უბე“ — მკერდი;

შუმ „ლიკ“/ქართ „ლეკვი“ — ძაღლი.

სიტყვა „მიწა“: შუმერული „ქაქი“; ქართული — „ქანი“ — მიწა (წიაღისეული); სვანური „გიმ“/ქვან — ქვიანი ადგილი; ზანური (მეგრულ-ლაზური) „ქიანა“ — ქვეყანა/ქუა — ქვა;

უძველესმა უწიგნურმა ხალხებმა, გაუნათლებელმა მსოფლიომ, რადგან წერა არ იცოდა, ხატავდნენ, რომელსაც დღევანდელი კაცობრიობა და მისი მეცნიერები დასაწყის პირველდამწერლობად მიიჩნევენ. ეს რომ ასე არ არის, ამას ადასტურებენ ძვ.წ. 5600 წლის შუმერული თიხის ფირფიტები, ჭურჭელი, თიხისა და რკინის ბეჭდები, სარკოფაგთა წარწერები, ამავე დროს შუმერული ანბანის ასო-ნიშნები, რომელიც მსოფლიოს მეცნიერებს ასოებად კი არა, სიტყვებად მიაჩნიათ.

ჩვენი აღმოჩენები საოცარი სიზუსტით ეუღლება უდიდესი ამერიკელი მეცნიერის სემიუელ ნ. კრამერის კვლევას, მის ნააზრევს, რომელიც გადმოცემულია წიგნში „ისტორია იწყება შუმერიდან“. კი, ვაცხადებთ, რომ ანბანი იწყება შუმერიდან, მაგრამ დღემდე ვერც ერთმა მეცნიერმა მსოფლიოში ვერ შეძლო დაემტკიცებინა ეს, იმიტომ, რომ ქართული ასომთავრულით, იგივე შუმერის ანბანით, არავის არასდროს გადაუსინჯავს შუმერთა სიძველეები. მათ დედამიწაზე გაჩენისთანავე ჩამოჰყვათ ანბანი იმ რკინასავით, რომელიც დედამიწაზე არ მოიპოვება, სამყაროსეული ლითონია, სახელად „ამეთუმ“ ჰქვია და 5-ჯერ ოქროზე და 40-ჯერ ვერცხლზე ძვირია.

(გაგრძელება იქნება)

„როგორი წარმატებული და დაფასებულიც უნდა გახდე, სრულყოფილი პიროვნება მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში შეიძლება იყო...“

აკადემიკოს ფრიდონ თოდუას აპოლოგია

სახელმწიფოს, ქვეყანას ცოტნე დადიანის, ბერი თევდორეს, მეფე დიმიტრი თავდადებულის, პროფესორ იოსებ ჟორდანიას თუ ეპისკოპოსი ამბროსი ხელაიას მსგავსი გონებადაუნჯებული პიროვნებები აღაშენებდნენ და აღაშენებენ ნიადაგ.

ზოგადკაცობრიული იდეალებისკენ სწრაფვა განსაკუთრებულად წარმოაჩენს ჩვენი წერილის გმირს, რომელმაც – ყოველნაირად უზრუნველყოფილმა კაცმა – ჯერ მოსკოვის ოაზისური გარემო სამშობლოს პირველსავე დაძახილზე მიატოვა 25 წლის წინათ 25 პიროვნებასთან ერთად, რათა გახრიოკებულ სამშობლოში, რკინიგზის საავადმყოფოს კარკასებში ხის კიბით ეღოღიალა სართულ და სართულ. მერე ამ თავგანწირულობის გამო რკინის სამაჯურებსაც კი არ დაიშურებს მისთვის მშობლიური მთავრობა, აქაოდა, შენს დაკეტილ ბინაში, მოსკოვში, ანტიქართული თავყრილობები იმართებაო, სინამდვილეში კი ამ ყველაფრის უკან სახიფათო კონკურენტის გამოჩენა დგას სამედიცინო სივრცეში ფრიდონ თოდუას სახით – პირველი კომპიუტერული ტომოგრაფის დამნერგავი რუსეთში, ახლა აქ – კავკასიაში, და მიდის ბინძური კამპანია მის გულის ასაცრუებლად, თბილისიდან, სამშობლოდან მის გადასაშენებლად; მაგრამ ფრიდონ თოდუა კერკეტი კაკალია, კუს ნაბიჯებით მსწრაფველი პიროვნება დიადი მიზნისკენ – დილეტანტიზმის განუხრელი მამხილებელი და მესაფლავე. დიახ, კუს ნაბიჯებით, მისხალ-მისხალ, წვეთ-წვეთობით გროვდება ფიჭაში თაფლივით მისი საქმე თევდორე მღვდლის 12-ში. დროთა ვითარებაში ფრიდონ თოდუას დიაგნოსტიკის ცენტრად წოდებულ რკინიგზის საავადმყოფოში ცოცხალი რიგი იმართება ზამთარ-ზაფხულ. კუს სიჯიუტით და შეუპოვრობით ლაგდება აგური აგურზე, ადგილობრივი ახალგაზრდა კადრები კვალიფიკაციის ასამაღლებლად იგზავნებიან უცხოეთის წამყვან კლინიკებში. კუს სიჯიუტითა და შეუპოვრობით მიმდინარეობს ჯვართის მნიშვნელობის დანადგარების გადაიარაღება ულტრათანამედროვე ტექნიკით, როგორიცაა: **„Utostainer bond max“, „Varian“, „Truebean“, „whole body MRI“** – მთელი სხეულის მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის დანადგარები, რათა დიაგნოზი ზუსტად ასახავდეს ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს. და, აი, 26-წლიანი მარათონული სრულქმნის პროცესში აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა სასწორზე შეაგდებს ამდენი ხნის განმავლობაში მოპოვებულ წარმატებებს, რეგალიებს, მატერიალურ და მორალურ კულმინაციებს – დაურიდლად ამხელს იგი მრავალი ონკოცენტრის დილეტანტურ, მამონისმოყვარე დამოკიდებულებას პაციენტისადმი, რომლებიც ლამის ძვირადღირებული რეკლამის დონეზე უწევენ პროპაგანდას უცხოეთის ონკოლოგიურ ცენტრებს, როცა სინამდვილეში კვალიფიციური ექსპერტის რწმუნებით, ახლოსაც ვერ მიდიან თოდუას დიაგნოსტიკის ცენტრად ცნობილ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან; შენატრიან მის ულტრათანამედროვე აღჭურვილობას, აქეთ აკითხავენ გამოცდილების გასაზიარებლად და ათწილად დახარჯულ პაციენტს კვლავაც თბილისისკენ ისტუმრებენ ხელების სავსავით.

მაგრამ ესეც არ არის ჩვენთვის მთავარი, აქ გაცილებით მეტის მთქმელი თავად ფრიდონ თოდუას მოქალაქეობრივი პათოსია, რომელიც წარმატებით გადაევლო ყველა ფასეულობის თამასას: დასახელებული იყო 2003 წლის მსოფლიო ნომერ პირველ ადამიანად; არჩეულია რამდენიმე ათეული უნივერსიტეტის საპატიო აკადემიკოსად, გამხდარა მალტის ორდენის სრულფასოვანი წევრი, ხოლო მისი კლინიკა აღიარებულია პლანეტის ნომერ პირველ სამედიცინო დაწესებულებად. და აი, ახლახან დაპყრობილი სიმაღლე – **2017 წლის 3 ივლისს ქალაქ ლუცერნში (შვეიცარია) გაიმართა ევროპის ბიზნესასამბლეის დაჯილდოების ცერემონია, რომელზეც კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი – აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი დაჯილდოვდა ევროპის სამედიცინო ასოციაციის, ოქსფორდის ბიზნესის გაერთიანების, სოკრატეს კომიტეტისა და შვეიცარიის ხარისხის ინსტიტუტის უმაღლესი ჯილდოებით – European Exllenece in Quality da Best Regional Healthcare Provider**. და, აი, ამ სიჭარმაგის ზენიტზე მყოფი პიროვნება – მართალი კაცი ფრიდონ თოდუა – უცებ მყისიერად მოჭრის: **„როგორი წარმატებული და დაფასებულიც უნდა გახდე, სრულყოფილი პიროვნება მხოლოდ საკუთარ ქვეყანაში შეიძლება იყო“**. გამოდის, რომ ბატონი ფრიდონისეული კონცეფციით: იყო აკადემიკოსი – ნიშნავს იყო უკიდურესობამდე გაჯერებული სამშობლოს მიწით და ჰაერით, დობადონას მზითა და მთვარით, მამულის წარსულითა და მომავლით; აი, აქ არის სრულყოფილება, აი, აქ უზაკველი სრულქმნაა სამარადისოო, გვმოძღვრავს იგი. დიახაც, თავდადების ტოლფასია ეს დოქტრინა და გასაოცარი ალტრუიზმი – პროტოიბერიული თანალმობა ჩახჩახებს მასში. მისი განცხადებით: **„ამ პროფესიის (ექიმი) არჩევისას მზად უნდა იყო, საკუთარი ინტერესებიც კი დათმო სხვა ადამიანებზე ზრუნვის სანაცვლოდ“**. ამიტომაც უშურველად გაიღებს იგი 400 000 ლარის დივიდენდს კლინიკის შემდგომი გადაიარაღებისთვის.

გარბის მალემქროლი დრო დ გაცილებით მიზანსწრაფული ხდება მოვლენების ათასგზის ამწონ-დამწონავი მართალი კაცი – აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა, როცა საკითხი საკუთარი გენოფონდის კატასტროფულ ვითარებას შეეხება ონკოლოგიის კუთხით; როცა 17 000 ონკოპაციენტია დაფიქსირებული ყოველწლიურად ქვეყნის მასშტაბით და ეს სტატისტიკა არ გახლავთ მხოლოდ დიაგნოსტიკის მეთოდების განვითარებისა და სრულყოფის შედეგი, არამედ აქ ლომის წილი უცხოეთიდან განუკითხავად შემოდინებული პროდუქტია, პესტიციდებით გაჯერებული ხოლ-ბოსტნეული, გენმოდიფიცირებული ბარკლეული და ათასი სუროგატი: ნარკოტიკი, ალკოჰოლი, ნიკოტინი, რომელიც სწრაფი მიგების წყაროა, როგორც უცხოეული, ისე ადგილობრივი ხელისუფალისთვის, ცხადია, ჩვენი მოსხალეობის კატასტროფული დაკიბოვნების ხარჯზე. არ იკმარა ჩერნობილის ურჩხული ატომური სადგურის რეაქტორის დასარკოფაგებამ და მან ონკოლოგიური პაციენტების დივიზიონი ჩამოამწკრივა შინ თუ გარეთ. განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოა ამ ასპექტით საგანგაშო ზღვარზე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მე-5 კორპუსი. სკულპტურული კომპოზიცია: **„სიცოცხლის ხე“**, 2016 წ. ავტორები: **გია და თიკა ჯაფარიძეები.**

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება მსოფლიოში აღიარებული ექიმის, მსოფლიოს ათეულობით უნივერსიტეტის საპატიო აკადემიკოსის, მრავალი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელის, საქართველოს კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს

ფრიდონ თოდუას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს როგორც მის ოჯახს, ასევე მთელ ქართველ საზოგადოებას.

„საერთო გაზეთი“

ეს უკვე ტიპური გენოციდია პატარა ქვეყნის მიმართ, ამგვარია სამშობლოსთვის თავდადებული ფრიდონ თოდუას კვალიფიკაცია შექმნილ ვითარებაზე.

მისთვის უმაღლესი პოლიტიკური პლატფორმა სამების საკათედრო ტაძარია, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორეს სიახლოვეს დგომა ყველგან და ყოველთვის.

P.S. აქამდეც მრავალგზის განმიცხადებია: მერამდენე წელიწადია მორიგ რომანს ვწერ, სადაც ქართული პრობლემები წარმოჩნდება უცხოეთში მოღვაწე ჩვენი დიასპორელების თვალით და რომლის ერთ-ერთი მთავარი გმირის პროტოტიპი ბატონი ფრიდონ თოდუაა-მეთქი. დღემდე გამოგონილი გვარ-სახელით აღვაშენებდი ხასიათის ამ ურთულეს ციტადელს, მაგრამ, რომ დავუკვირდი, ჩემი ბედკრული სამშობლოს მერმისის სარგებლიანობის მოტივაციით, არაფერი დაშავდება, თუ ნამდვილი რეგალიებით დავამკვიდროვებ მას ნახსენებ ბელეტრისტულ გარემოში, როგორც თანამედროვე ქართველის მართებული ორიენტაციის ნიმუშს დროსა და სივრცეში; როგორც უარაფრო ქართული ინტელიგენციის შეუდარებელ მეოხს; როგორც შეუთავსებელ ფასეულობათა შეთანაწყობის უბადლო ქურუმს; როგორც გადაუჭრელ პრობლემათა ერთადერთ მართებულ ამონახსნს.

ცხოვრებაში ამ ერთადერთხელ არ წარმოვაჩენ ზმნას წარსულ დროში, პრეზენსით ამომაქვს გულის საკვნესელი, ამწუთიერობით, ამჟამიერობით, რადგანაც, როცა უფლის, კაცობრიობის, სამშობლოს, ადამიანების თუ საკუთარი სინდისის წინაშე პირმართალ კაცზე – აკადემიკოს ფრიდონ თოდუაზე მიწევს საუბარი, აქ ნამყო ჟამის, გარდასული ქრონოსის ძრაობა უმაქნისია, არარაისი.

შენ უკვდავების ბინადარი ხარ ჩემო განუმეორებელო მასწავლებელო, ჩემო ძმაო და მეგობარო, ონკოლოგიური ეროვნული გენოციდების მეხამრიდო და მსხვერპლო თავადაც, მართალო კაცო სამყაროისეულ სამივე დროში – კონტინუუმსაც რომ ეძასიან ხელდასხმულები პლანეტის ოთხივ კუთხით.

გური ოტობაია,
მწერალი.

ჩვენი დროის ათი ყველაზე ახალგაზრდა ბიზნესმენი

ჟურნალ „Forbes“-ის ამერიკულმა რედაქციამ ჩვენი თანამედროვე ასი ადამიანის სია შეადგინა, რომლებმაც მთელ მსოფლიოზე მოახდინეს გავლენა.

რედაქციამ თითოეულ მათგანს მცირე ზომის ესეს დაწერა შესთავაზა, რომელშიც მოთხრობილი იქნებოდა მათი ცხოვრების გზის შესახებ, იმის შესახებ, როგორ მოახერხეს ამდენი ფულის შოვნა და მათი რეკომენდაციები, როგორ უნდა მიაღწიონ ახალმა თაობებმა სასურველ მიზანს.

სიაში მოხვდნენ არა მარტო „Forbes“-ისთვის ტრადიციული მილიარდერები, არამედ როკ-ვარსკვლავები (მათ შორის, პოლ მაკარტნი „The Beatles“-იდან და ბონო U2-დან), ტელეწამყვანები (ოპრა უინფრი და მარტა სტიუარტი), მოდელიორები (მიუჩა პრადა და დიანა ფონ ფიურსტენბერგი), ასევე მხატვრები (ჯეფრი კუნსი), სცენარისტები (შონდა რაიმსი) და „Cirque du Soleil“-ის („მზის ცირკის“) თანადამფუძნებელი გი ლალიბერტე.

თანამედროვეობის 100 უდიდეს ბიზნეს-ტვინს შორის 10 ადგილი ქალებს ერგოთ, 22 ადგილი კი – 80 წელს გადაცილებულ მამაკაცებს.

ჩვენი დროის უდიდესი ბიზნეს-ტვინების საშუალო ასაკი 68,3 წელია. სიაში მოხვედრილთაგან მხოლოდ ათია 50 წელზე ახალგაზრდა (მათგან მხოლოდ ექვსია მილიარდერი).

გთავაზობთ იმ ათეულის გალერეას, რომლებიც, მიუხედავად ასაკისა, ზეგავლენას ახდენენ ბიზნეს-პროცესებზე და შთააგონებენ მეწარმეებსა და მსოფლიოს სტარტაპერებს.

სარა ბლეიკლი

მარკ ცუკერბერგი

მარკ ცუკერბერგი, 33 წლის

ინტერნეტტექნოლოგიების სფეროში მოღვაწე მეწარმე, სოციალური ქსელის „Facebook“-ის დამაარსებელი. მისი ქონება 71,5 მლრდ დოლარს შეადგენს.

„მე არასოდეს მიოცნებია კომპანიის შექმნაზე. მე მამოძრავებდა გრძნობა, რომ აუცილებელია ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება და დააახლოება“, – დაწერა მან თავის ესეში.

ბრაიან შეესკი, 36 წლის

სერვის **Airbnb**-ის (ეს გახლავთ ონლაინ-სივრცე, სადაც განთავსებულია განცხადებები მსოფლიოს მასშტაბით ბინების მოძებნის, გაქირავებისა და მოკლევადიანი არენდის შესახებ) დათანადამფუძნებელი. მისი ქონება 3,3 მლრდ დოლარია. „Forbes“-ის მილიარდერთა სიაში არ შედის.

„თუ თქვენ მეწარმე ხართ, თქვენთვის ყველაზე მთავარი მახასიათებელი ბავშვური ცნობისმოყვარეობა და გაოცების უნარია. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, ყოველთვის ვცდილობ, თვალი ვადევნო იმას, რას აკეთებენ ჩემზე ახალგაზრდები. ვინ იქნება შემდეგი?“ – ეს გახლავთ ფრაგმენტი ჩესკის ესედან.

შონ პარკერი, 37 წლის

Napster-ის თანადამფუძნებელი. **Facebook**-ის პირველი პრეზიდენტი, **Spotify**-ის ევანგელისტი. მისი ქონება 2,6 მლრდ დოლარს შეადგენს.

„მე ვამჯობინებდი, ტრადიციული სიბრძნე უარმეყო ჩემთვის საინტერესიო უდეების სასარგებლოდ. მომავლის გამოგონებები ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობისა და სკეპტიციზმის შერწყმით იწყება“, – წერს შონი თავის ესეში.

ჯეკ დორსი, 40 წლის

კომპანიების **Twitter**-ისა (მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საკომუნიკაციო სივრცე) და **Square**-ს თანადამფუძნებელი.

ილონ მასკი

მისი ქონება – 2,2 მლრდ დოლარს შეადგენს.

„ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ვფიქრობდი, არავის უნდა სცოდნოდა, რომ მე ვცდებოდი. საბოლოოდ, მე მივხვდი, რომ არ ღირს ამის გაკეთება“, – აღნიშნა დორსიმ „Forbses“-თვის დაწერილ ესეში.

ხამდი ულუკაია, 44 წლის

ქურთი, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში იოგურტების იმპერია შექმნა. ის გახლავთ **Chobani Inc**.-ის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი. ხამდის ქონება 1, 75 მლრდ დოლარს შეადგენს.

„როცა კომპანია შევქმენი, არც გამოცდილება მქონდა და არც არავითარი გეგმა. ჩემს ფაბრიკაში კი კედლები იყო შესაღები. მე შევიძინე საღებავი და დავიქირავე მუშახელი. ეს ყველაზე საუკეთესო გადაწყვეტილება იყო, რომელიც ოდესმე მიმიღია. მთავარია, გულხელდაკრეფილი არ იჯდე და იმოქმედო“, – წერს ხამდი ულუკაია თავის ესეში.

ილონ მასკი, 46 წლის

PayPal-ის, **Tesla**-სა და **SpaceX**-ის თანადამფუძნებელი. მისი ქონება 21,6 მლრდ დოლარია.

„ხელოვნური ინტელექტი ბევრ უპირატესობას მოიტანს. მაგრამ მისი მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია ეშმაკის გამოხმობა, რაც კაცობრიობას საფრთხის წინაშე დააყენებს. ჩვენ პირველი არსებები ვართ, ვისაც საკუთარი თავის განადგურება ძალუძთ. და ეს სავსებით შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ, რამდენი დრო გვაქვს“, – წერს ილონ მასკი.

შერილ სენდბერგი

სარა ბლეიკლი, 46 წლის

ქალების საცვლების ბრენდის **Spanx**-ის შემქმნელი. მისი ქონება – 1,3, მლრდ დოლარს შეადგენს.

„**Spanx**-ის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზეე ჩემი დამამზადებელი, რომელიც პირველი კოლგოტების შექმნაში მეხმარებოდა, ბიზნესიდან გავიდა და ამან თითქმის გაანადგურა „**Spanx**“-ი. დამწყებმა მაწარმემ

ხამდი ულუკაია

არასოდეს უნდა დაივიწყოს აუცილებელი კეთილსინდისიერების შესახებ“, – წერს სარა.

შონდა რაიმსი, 47 წლის

სცენარისტი და ტელევიზიაში შოუს პროდიუსერი. „**Forbses**“-ის მილარდერთა სიაში არ შედის.

„ისტორიის შექმნა საყოველთაო ხდება, აუდიტორია კი უფრო რთული. მაგრამ კარგი ისტორიის რეცეპტი ისევ იგივეა, არ შეცვლილა: ეს არის კოცონი, ადამიანური ურთიერთობები, რომლებიც იმაზე მეტყველებს, რომ მარტო არ ხარ“, – აღიარებს შონდა.

შონ ქომბსი, 47 წლის

ჰიპ-ჰოპ მაგნატი, მუსიკალური პროდიუსერი. აქვს საკუთარი ტანსაცმლის ხაზი, წილი ტელექსელ **Revolt**-ში. მისი ქონება 820 მლნ დოლარს შეადგენს. „**Forbses**“-ის მილარდერთა სიაში არ შედის.

„მე მუშაობა 12 წლის ასაკში დავიწყე, გაზეთებს დავატარებდი. მაშინ მივხვდი, რომ თუ კლიენტს ყველაფერს საუკეთესოს შესთავაზებ და განსაკუთრებულად მოემსახურები, თუნდაც ეს მუსიკა, ტანსაცმელი ან არაყი იყოს, შენ კარგი შემოსავალი გექნება“, – წერს შონი თავის ესეში.

შერილ სენდბერგი, 48 წლის

Facebook-ის მთავარი ოპერაციული დირექტორი. პირველი ქალი „**Facebook**“-ის დირექტორთა საბჭოში. მისი ქონება 1,57 მლრდ დოლარია. მილიარდერების სიაში არ არის.

„როდესაც მშობიარობის შემდეგ პირველად გავედი სამსახურში, მთელი გზა ვტიროდი: მინდოდა მემუშავა, მაგრამ პატარა ვაჟის სახლში დატოვება ძალიან მიჭირდა. მე დავიწყე გზის ძებნა, რათა გვიან მივსულიყავი სამსახურში და ადრე წამოვსულიყავი. მე მივხვდი, რომ ჩვენ უკეთ ვმუშაობთ, როცა არ ვცდილობთ, ერთდროულად ორი ადამიანი ვიყოთ“, – წერს თავის ესეში შერილ სენდბერგი.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com